

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს



ბრძანებათა და ინსტრუქციათა

71  
15 **კრებულები**

**СБОРНИК**

**ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ**

*Министерства просвещения Грузинской ССР*

5

მაისი

თბილისი — 1965

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს



ბრძანებათა და ინსტრუქციათა

**კრებულში**

**СБОРНИК**

**ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ**

*Министерства просвещения Грузинской ССР*

5

ბანი

F-2925



თბილისი - 1965



რედაქტორი უშ. ოზოლაძე  
კორექტორი ე. აგლაძე

**ფასი 10 კპვ.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/VI-65 წ. ანაწილის ზომა 6×9<sup>1</sup>/<sub>2</sub>.  
ქალაქის ზომა 60×84. სისტემბო ფორმათა რაოდენობა 6,5.

შეკ. 502.

უე—01618

ტ. 5000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის ხანელმწიფო  
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის თბილისის ხტამბა № 11  
ქ. თბილისი, უშ. ჩხეიძის ქუჩა № 19

Тбилисская типография № 11 Главполиграфпрома государственного  
комитета Совета Министров Груз. ССР по печати  
Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе № 19

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 3 აპრილის ბრძანება № 328

**სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების სასურსათო საქონლით მომარაგების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ**

აღნიშნავ, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობასთან ერთად მიმდინარე სასწავლო წელს გატარებული ღონისძიებების შედეგად სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების სასურსათო საქონლით მომარაგება წინა პერიოდთან შედარებით გაუმჯობესდა.

კვლავინდებურად კარგად მუშაობს ქ. თბილისის № 2 სკოლა-ინტერნატი (სკოლა-ინტერნატის დირექტორი დ. ჯურხაძე, სასადილოს გამგე ი. გოზალიშვილი). აღსაზრდელებზე ნორმით ვათვალისწინებული პროდუქტები მთლიანადაა გაცემული, კვების ბლოკში სანიმუშო სისუფთავეა, უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით და ხელსაწყოებით, კარგადაა ორგანიზებული კვება, ქვაბში პროდუქტების ჩაშვებას ესწრებიან მორიგე აღმზრდელები, ასევე კარგად მუშაობენ ქ. ბათუმის № 3, კაჭრეთის, გლდანის № 8, ბროწეულას სკოლა-ინტერნატები; ეწრის, ონის, კოჯრის № 2, ვაშლოვანის საბავშვო სახლები (დირექტორები ი. დიასამიძე, ს. ანჯაფარიძე, ა. არჩვაძე, მ. ინასარიძე, ნ. შავლაძე, ე. ლებანიძე, ზ. ვაწაძე, ა. საგინაშვილი).

საგრძობლად გაუმჯობესდა მდგომარეობა გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ა. წერეთელი). 1964 წლის 1 კვარტალში, როდესაც სკოლა-ინტერნატის კვებითი მომსახურება დავალებული ჰქონდა ცეკავშირს, სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებზე გაცემული იყო ნორმით კუთვნილი ვერმიშელის და მაკარონის 53%; 1964 წლის მეორე კვარტალში კი, სასადილოს სკოლა-ინტერნატისათვის დაბრუნების შემდეგ, მაკარონი და ვერმიშელი ათვისებულია 67%,

კარტოფილის ათვისება გაიზარდა 67%-დან 94%-დე, ბოსტნეულის—70%-დან 76%-მდე, ხილის—13%-დან 27%-დე, მარცხენა რის 83%-დან 98%-დე, თევზის 22%-დან 38%-დე, რძის 83%-დან 98%-მდე, ყველის 5%-დან 92%-მდე, კვერცხის 38%-დან 69%-მდე და ა. შ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილების საფუძველზე მთელმა რიგმა სკოლა-ინტერნატებმა და საბავშვო სახლებმა სერიოზული ღონისძიებანი გაატარეს დამხმარე მეურნეობის გასაძლიერებლად; ამ მხრივ გამოირჩევიან მახარაძის, რუსთავის, გურჯაანის, ბროწეულის, გულრიფშის, ვანთიადის № 2 სკოლა-ინტერნატები, ეწრის, ვაშლოვანის, კარდანახის, ლენინგორის საბავშვო სახლები, ქ. ქუთაისის ყრუ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატი, კოჯრისა და ბეთანიის სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ელფია-ბეთანიის დამხმარე მეურნეობა და სხვა. შეძენილი და შეკეთებულია სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, საშემოდგომო სამუშაოები ჩატარებულია და მომზადებულია ნიადაგი, უზრუნველყოფილი არიან ხარისხოვანი სათესლე მასალით და ყველა პირობაა შექმნილი საგაზაფხულო თესვის დროულად ჩატარებისათვის.

მიუხედავად აღნიშნულისა, მთელი რიგი სკოლა-ინტერნატებისა, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელები ვერ მარავდებიან დაწესებული ნორმისა და ასორტიმენტის კვების პროდუქტებით; საგრძნობლად გაუარესდა აღსაზრდელთა კვების პროდუქტებით მომარაგება ქ. ფოთისა და აგარაკ კოჯრის სკოლა-ინტერნატებში მას შემდეგ, რაც აღსაზრდელთა კვებით მომსახურება დაევალა კურორტვაჭრობას და საქვაჭრობას. ფოთის სკოლა-ინტერნატს 1964 წლის IV კვარტალში სრულებით არ გაუცია აღსაზრდელებზე კვერცხი, ხილი, ხოლო თევზი გაცემულია ნორმის 2%, ყველი 8% და სხვ.

1964 წლის IV კვარტალის განმავლობაში სრულიად არაა გაცემული ყველი, თევზი, რძე, კვერცხი და ახალი ხილი კალდახარის, ცხინვალის, ზუგდიდის № 1, ბარისახოს, ახალციხის, კიცხის, წალენჯიხის, ლანჩხუთის, ჯავის სკოლა-ინტერნატების მიერ (დირექტორები ა. ჩიჩბა, დ. ვალიევი, გ. გეთია, ბ. ოდიშელიძე, შ. არგელაძე, გ. კალანდაძე, ქ. წულაია, მ. ჩიტაძე, ი. კოჩიევი), ანალოგიური მდგომარეობაა ქიათურისა და ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატებსა და ქიათურის საბავშვო სახლში (დირექტორები

შ. ბაზლაძე, ვ. ტაბატაძე, მ. გამეზარდაშვილი). ამ დაწესებულებებში კერძები ერთფეროვანი და დაბალი ხარისხისაა, სასადილოში არ არის გამდინარე ცხელი წყალი, მომსახურების კულტურა დაბალია, არა აქვთ ქალაქის ხელსაწყოები, გრაფინები, დანა-ჩანგალი, მორიგე აღმზრდელები არ ესწრებიან პროდუქტების ქვაბში ჩაშვებას და გაცემას. უკონტროლობის შედეგადაც გაცემული რაციონი ნორმასთან შედარებით ნაკლებია და ლაბორატორიული ანალიზით არ შეიცავს საკმარის რაოდენობით ნახშირწყლებს, ცილებს და ცხიმებს, ნორმაზე დაბალია კალორიულობა და სხვ.

საგაზაფხულო სამუშაოების ჩასატარებლად არადაამაკმაყოფილებლად ემზადებიან კაჭრეთის, წითელწყაროს, ტაშისკარის, ახალი სოფლის, სალხინოს სკოლა-ინტერნატები, თელავისა და შუამთის საბავშვო სახლები.

### გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებებმა, შეისწავლონ სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების და სპეციალური სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა სასურსათო საქონლით მომარაგებისა და კვებით მომსახურების საკითხი, გაატარონ სათანადო ღონისძიებანი და მიღებული ზომების შესახებ აცნობონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ა/წლის 15 მაისამდე.

2. სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოების დახმარებით უზრუნველყონ მომმარაგებელი ორგანიზაციებიდან ნორმით გათვალისწინებული ყველა პროდუქტის მიღება და აღსაზრდელებზე გაცემა.

ბ) შეაფასონ სამზარეულო-სასადილოები ყველა საჭირო ინვენტარით, ჭურჭლით და მოწყობილობით;

გ) გააძლიერონ კონტროლი სამზარეულოსა და სასადილოს მუშაობაზე, როგორც წესი, მორიგე აღმზრდელები სისტემატურად დაესწრონ პროდუქტების მიღებას, ქვაბში ჩაშვებას და აღსაზრდელებზე გაცემას.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს შეისწავლოს ქ. ფოთის და კოჯრის სკოლა-ინტერნატების სასადილოების მუშაობა და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.



4. სკოლა-ინტერნატების საბავშვო სახლების და სპეციალური სკოლა-ინტერნატების სამმართველომ (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 26 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ.  
5 აპრილის ბრძანება № 341

ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების შექმნის შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მოწონებულ იქნას თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის წინადადება ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების შექმნის შესახებ.

2. ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის).

3. ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების დამფუძნებელი კრება ჩატარდეს ა/წ 25 აპრილს.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა უზრუნველყონ ნორჩ მეგობართა საზოგადოებების პირველი ორგანიზაციების ჩამოყალიბება სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებებში და ადგილებზე დებულების მოთხოვნების პრაქტიკული განხორციელება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი



ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ  
საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

## რ ე ბ უ ლ ე ბ ა

### ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოებისა

#### 1. ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების მიზნები, ამოცანები და მუშაობის წინააღმდეგ

1. ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოება მიზნად ისახავს სათავეში ჩაუდგეს რესპუბლიკაში ბუნების ნორჩ მეგობართა საქმიანობას და მოაწყოს პიონერთა და მოსწავლეთა მასობრივი მოძრაობა ბუნების დაცვისა და მისი გამდიდრებისათვის, აქტიურ მონაწილეობას იღებს „ბუნების დაცვის კვირეულში“. ტყეების, მწვანე ნარგავების, ცოცხალი და არა ცოცხალი ბუნების ძეგლთა დაცვისა და სასარგებლო ფაუნისა და ფლორის გამრავლებაში, ქუჩების, მოედნების, სკოლებისა და საბავშვო ბაღების ეზოების გამწვანებაში, პარკების გაშენება-გაფართოებაში, თევზების, სასარგებლო ფრინველებისა და ცხოველების დაცვის მიზნით ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

2. ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოება პიონერებსა და მოსწავლეებს უნერგავს ბუნების სიმდიდრეებისადმი, ჩვენი ქვეყნის ფაუნისა და ფლორისადმი სიყვარულს, მზრუნველობით დამოკიდებულებისა და მათი მტკიცედ დაცვისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას.

3. ბუნების ნორჩ მეგობარები ინიციატივას იჩენენ და აქტიურ მონაწილეობას იღებენ:

ა) უტყეო ფერდობზე, ხევების, გზატკეცილების, სასოფლო გზების ნაპირებზე ტყის ჯიშების, ხეხილოვანი კულტურების, ვაზი-

სა და მინდორსაცავი ზოლების გაშენებაში, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეების დაცვაში;

ბ) სკოლებში შექმნილი ბუნების დაცვის საგუშაგოებისა და სექციების მუშაობაში, სასკოლო, საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების ნაკვეთებზე სუბტროპიკული კულტურების, ხეხილის ბაღებისა და ყვავილოვანი მცენარეების გაშენებასა და მოვლაში;

გ) აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლის მიღების მიზნით თუთის ხის გაშენებასა და სასკოლო და საკარმიდამო ნაკვეთებზე საფუტკრეების მოწყობაში, ქართული რუხი, მთის ჯიშის ფუტკრის გამრავლებაში, თაფლოვანი მცენარეების გაშენება-გავრცელებაში;

დ) სასკოლო და საოჯახო პირობებში დეკორაციული და სარეწაო მნიშვნელობის თევზების მომრავლებაში, აკვარიუმების, თბილი და ცივი წყლის თევზების მოსაშენებლად აუზების მოწყობაში.

## II. საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა

1. ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები იქმნება სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, სკოლის-გარეშე, საბავშვო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

2. ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოება აერთიანებს ნორჩ მემცენარეთა, ნორჩ ენტომოლოგთა, ნორჩ ზოოლოგთა სექციებს;

სექციები იქმნება ყველა საბავშვო დაწესებულებებთან, სადაც ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოება ჩამოყალიბებული.

3. ნორჩ მეგობართა საზოგადოების წევრებად მიიღებიან ბუნების დაცვით დაინტერესებული IV—X კლასის მოსწავლეები. ნორჩ მეგობართა საზოგადოების წევრები შესასვლელ შესატანსა და საწევრო გადასახადს იხდიან საქართველოს ბუნების დაცვის ნებაყოფილობითი საზოგადოების წესდების მოთხოვნის შესაბამისად.

4. საზოგადოების წევრებად მიღება შეიძლება როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური წესით.

5. საზოგადოების მუშაობას წარმართავს კრების მიერ ღია კენჭისყრით არჩეული საზოგადოების საბჭო. საბჭო განისაზღვრება 7—9 კაცით. საბჭო თავის პირველ სხდომაზე ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.

6. საკონსულტაციო მეთოდურ მუშაობაზე ხელმძღვანელობით თავის საზოგადოებასთან იქმნება ბუნების დაცვის უფროს მეგობართა საბჭო, რომლის საქმიანობასაც კოორდინაციას გაუწევს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნატურალიზმისა და მხარეთმცოდნეობის განყოფილების ბიოლოგიის კაბინეტი.

7. საზოგადოების წევრი ვალდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ბუნების დაცვაში, მწვანე ნარგავების გაშენებაში, სასარ-



გებლო ფაუნის გამრავლებაში, ბუნების სიმდიდრეთა დაცვის ყოველგვარი ღონისძიების გატარებაში, საზოგადოების ყველა წევრი ვალდებულია მტკიცედ განახორციელოს ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების საბჭოს ყველა მოთხოვნა.

8. საზოგადოების ადგილობრივი სექციების ხელმძღვანელებად აირჩევიან მოწინავე მოსწავლეები.

9. ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოება კავშირს ამყარებს საქართველოს ბუნების დაცვის ნებაყოფლობით საზოგადოებასთან, აგრეთვე ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოსთან და უზავნის მას ცნობებს სექციის შექმნისა და მისი საქმიანობის შესახებ. საზოგადოება აწარმოებს თავის მატინეს. ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების საბჭოს გადაწყვეტილებით მატინეში შეტანილი იქნებიან ის მოსწავლეები, რომლებიც გარკვეულ წარმატებებს მიაღწივენ მუშაობაში.

10. ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების საბჭო ყოველი წლის ოქტომბერში აჯამებს სექციების მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგებს.

### III. ბუნების ნორჩ მეგობართა რესპუბლიკური შეკრების ორგანიზაცია

1. ბუნების ნორჩ მეგობართა მუშაობის შეჯამების მიზნით ბუნების ნორჩ მეგობართა რესპუბლიკური შეკრება ჩატარდება ყოველ წელს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

2. შეკრებაში მონაწილეობის მიღების უფლება მიეცემათ იმ მოსწავლეებს, სკოლებს, სკოლა-ინტერნატებს, საბავშვო სახლებს სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებს, რაზმებს, რგოლებს, რომლებსაც ნაყოფიერი მუშაობა აქვთ ჩატარებული ბუნების სიმდიდრეთა დაცვის საქმეში.

3. შეკრებაში მონაწილეობის მიღების მსურველები ადგენენ განაცხადს ბორის ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნატურალიზმისა და მხარეთმცოდნეობის განყოფილების ბიოლოგიის კაბინეტის სახელზე ყოველწლიურად. არაუგვიანეს პირველი ოქტომბრისა. განაცხადთან ერთად გამოგზავნილი უნდა იქნეს ბუნების ნორჩ მეგობართა მიერ ჩატარებული მუშაობის ამსახველი მასალები: მოკლე ანგარიშები, აღწერილობანი შემოწმებული დაწესებულებების ხელმძღვანელების მიერ, ფოტო სურათები, ალბომები, სქემები და სხვა.

4. ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების აქტიური წევრები, რომლებმაც განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს მუშაობაში, გამოძახებული იქნებიან თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში რესპუბლიკურ შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად.

5. ბუნების ყველაზე აქტიური ნორჩი მეგობრები დაჯილდოებული იქნებიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით და ფასიანი საჩუქრებით. ჯილდოს სახით გაიცემა აგრეთვე სპეციალური საგზურები შორეულ ექსკურსიებში მონაწილეობისათვის.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ.  
5 აპრილის ბრძანება № 343

გარდაბნის რაიონის ზოგიერთ საშუალო სკოლაში სასწავლო-  
აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი გარდაბნის რაიონის ზოგიერთი საშუალო სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ გადაეგზავნოს რაიონის განათლების განყოფილებას.

1. განათლების განყოფილების გამგემ (ამხ. გ. რაზმაძე):

ა) მოხსენებითი ბარათი გააცნოს ყველა სკოლას და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი მასში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) სასწავლო წლის დასასრულამდე შეამოწმოს მოხსენებით ბარათში აღნიშნული სუსტად მომუშავე სკოლები და მასწავლებლები და საჭირო დახმარება აღმოუჩინოს მათ ადგილებზე;

გ) კლასიდან კლასში გადასაყვანი, გამოსაშვები და საშუალო განათლების ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების პერიოდში განათლების განყოფილებისა და პედაგოგიური კაბინეტის მუშაკები შიავლინოს ნორიოს, თელეთის, გამარჯვების, დიდმის, კუმისის, დ. სამგორის და დიდი ლილოს საშუალო სკოლებში;

დ) 1964—1965 სასწავლო წლის შედეგები განიხილოს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე; საჭიროების შემთხვევაში ზოგიერთი სკოლის მუშაობის შესახებ საკითხი გახადოს რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების მსჯელობის საგნად;

ე) სასწავლო წლის ბოლოსათვის წარმოადგინოს განათლების სამინისტროში მოხსენება ჩატარებული მუშაობის შესახებ.

2. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. შ. ბუთიკაშვილი) გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილებასთან ერ-

თად შეამოწმოს თელეთის საშუალო სკოლის ცენტრალური გათ-  
ბობის დაზიანების, წყლით უზრუნველყოფისა და დამხმარე საფუძვ-  
სობების გამოუყენებლობის მიზეზები და წინადადებები წარმოუდგინ-  
ოს განათლების სამინისტროს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
კოლეგიის 1965 წლის 25 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი



გარდაბნის რაიონის ზოგიერთ საშუალო სკოლაში სასწავლო-  
აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

### მოხსენებითი ბარათი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორებისა და მეთოდისტების ნ. ახვლედიანის, ი. წოწონავას, ა. ჭიჭინაძის, ე. ბასილაძის, კ. ნოდის, გ. ერაძის, გ. ჯავახიძის, დ. კომლაძისა და მ. ნამჩევადის მიერ გარდაბნის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმებამ შემდეგი მიღწევა და ნაკლი გამოავლინა.

ქართულ ენასა და ლიტერატურას დამაკმაყოფილებლად ასწავლის ნორიოს საშუალო სკოლის მასწავლებელი თ. გურგენიძე. ის დიდ ყურადღებას აქცევს მხატვრული ნაწარმოების ტექსტის ყოველმხრივ შესწავლას. იცავს წერის ნორმებს, გულდასმით ამოწმებს მოსწავლეთა ნამუშევრებს.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქართული ენა თელეთის (მასწ. ა. მერაბოვი), გამარჯვების (მასწ. ქ. ქონიაშვილი), ნორიოს (მასწ. ა. მესტვირიშვილი), დიღმის (მასწ. ა. თეთრაშვილი) საშუალო სკოლების დაწყებით კლასებში. მოსწავლეებს არა აქვთ გამომუშავებული თხრობის, სწრაფი, შეგნებული და გამომეტყველებითი კითხვის ჩვენები; არ წარმოებს „ქართული წერის დედნის“ გამოყენება, ერთფეროვანია წერის სახეები. არ სრულდება წერის ნორმები დიღმის (მასწ. რ. გულბათაშვილი) საშუალო სკოლის III კლასში.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ქართული ენისა და ლიტერატურის ისწავლება კუმისის (მასწ. ი. ზაალიშვილი), ნორიოს (მასწ. ლ. გურაშვილი, ა. ჭიჭიკაშვილი), დიღმის (მასწ. გ. ნადიშვილი, შ. კილაური) საშუალო სკოლების V—XI კლასებში. დასახელებულ სკოლებში ქართული ენის გრამატიკა ისწავლება მხატვრული ნაწარმოების ტექსტისა და ზეპირი მეტყველებისაგან მოწყვეტილად. მოსწავლეებმა ზეპირად იციან ქართული ენის გრამატიკის წეს-კანონები და არ შესწევთ უნარი პრაქტიკაში გამოიყენდნ

იგი. არადამაკმაყოფილებლად იციან მხატვრული ნაწარმოებების შინაარსი, საზეპირო ადგილები, მათ არ შეუძლიათ მოახდინონ ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ანალიზი; დაბალია მოსწავლეთა თხრობის კულტურა.

წერის ნორმები არ სრულდება კუმისის (მასწ. ი. ზაალიშვილი, გ. ზაალიშვილი), ნორიოს (მასწა. ძიძიკაშვილი, ლ. გურაშვილი), დიღმის (მასწ. გ. ნადომაშვილი, ლ. ხუციშვილი) საშუალო სკოლებში. მოსწავლეების დიდი ნაწილი წერს ცუდი კალიგრაფიით, უშვებს უხეშ სტილისტიკურ, ორთოგრაფიულ და პუნქტუაციურ შეცდომებს. ზოგიერთი მასწავლებელი მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს არაგულისხმიერად ასწორებს, მათ ნაშრომს ლიბერალურად აფასებს. ასე, მაგალითად, თელეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს ა. მერაბოვს მოსწავლის გ. თ. ნაშრომში შეუნიშნავს 20 შეცდომა, არ გაუსწორებია 10, ნაწერი კი „3“-ზეა შეფასებული. ანალოგიური მდგომარეობაა ნორიოს საშუალო სკოლის XI კლასში (მასწ. ლ. გურაშვილი).

დიღმის საშუალო სკოლის V კლასში ქართულ ენას ასწავლის, ბიბლიოთეკის გამგე ა. მზევაშვილი, რომელსაც დამთავრებული არა აქვს უმაღლესი სასწავლებელი. ა. მზევაშვილმა თვითნებურად გადააჯგუფა ვაკვეთილი და ხელოვნურად აიკდინა ვაკვეთილის შემოწმება. მოსწავლეების წერითი ნამუშევრების, მასწავლებლის მიერ შედგენილი სასკოლო დოკუმენტების გაცნობით და მასწავლებელთან პირადი საუბრით გამოირკვა, რომ მან არ იცის საგანი და მისი სწავლების მეთოდები, იგი უხეშ შეცდომებს უშვებს მოსწავლეთა ნამუშევრების გასწორებისა და საწერი თემების სათაურების დაწერის დროსაც კი.

რუსული ენა და ლიტერატურა დამაკმაყოფილებლად ისწავლება დიღმის (მასწ. თ. ბერაძე), დაბა სამგორის (მასწ. ლ. მელიქოვა), კუმისის (მასწ. მ. ხუბაშვილი) და გამარჯვების (მასწ. ნ. ბელქანია) საშუალო სკოლებში. დასახელებული მასწავლებლები წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით სწორად წარმართავენ ვაკვეთილს, კლასი აქტიურადაა ჩაბმული მუშაობაში და მოსწავლეთა მიერ მასალის შეთვისების ხარისხისადმი სისტემატური კონტროლით კარგ შედეგს აღწევენ.

რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება ცუდადაა დაყენებული კუმისის (მასწ. ლ. მაისურაძე) და გამარჯვების (მასწ. ნ. კობერიძე) საშუალო სკოლებში. ეს მასწავლებლები არ მუშაობენ თავის თავზე, არ იმაღლებენ კვალიფიკაციას, არ ზრუნავენ პედა-

გოგოურ დახელოვნებაზე. დასახელებული სკოლის მოსწავლეები ტექსტს დამახინჯებულად კითხულობენ, არასწორად გადმოსცემენ სიტყვებს და საპროგრამო მასალის სუსტ ცოდნას ამჟღავნებენ. მოსწავლეთა მიერ შესრულებულ წერიტ ნამუშევრებში დაშვებულია უამრავი შეცდომა.

გერმანული ენა კარგად ისწავლება კუმისის (მასწ. ს. ბარვენაშვილი), თელეთის (მასწ. ე. ჩაჩიანი) და დიდი ლილოს (მასწ. ლ. ფურცელაძე) საშ. სკოლებში. მოსწავლეებლები ყოველ გაკვეთილზე ცდილობენ საგნის სწავლება გერმანულ ენაზე წარმართონ და ერთგვარ წარმატებასაც აღწევენ. როგორც ახალი მასალის ახსნისას, ისე მისი განმტკიცების დროს კარგად იყენებენ საუბრის მეთოდს. ტექსტზე მუშაობის დროს სათანადო ყურადღება ექცევა ენის წეს-კანონების შესწავლას.

მიუხედავად ამისა გერმანული ენის სწავლების საქმეში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს. მაგალითად, ტექსტის გადმოცემის ან სიტყვის გამოთქმის დროს მოსწავლეები უშვებენ შეცდომებს, დასმულ კითხვებზე ისინი ზოგჯერ პასუხობენ მშობლიურ ენაზე. მოსწავლეებლები ყოველთვის არ იყენებენ თვალსაჩინოებას, არ მოწმდება საკლასო, საშინაო და სალექსიკონო რვეულები, დაუდევრად სწორდება საკონტროლო წერის ნამუშევრები, სკოლები ღარიბია უცხო ენის სწავლებისათვის საჭირო თვალსაჩინო მასალებით.

მათემატიკას კარგად ასწავლის შემოწმებული სკოლების მოსწავლეებელთა ერთი ნაწილი. კარგ შედეგებს აღწევს კუმისის საშუალო სკოლის მასწ. ი. დარჩიაშვილი. ამ სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა კარგად იციან ბეზუს თეორემა და მისი შედეგები, მრავალწევრთა დაშლა ამ თეორემის გამოყენებით. ასევე გააზრებულად აქვთ შესწავლილი კვადრატული სამწევრის გამოკვლევა და ამით უადვილდებათ მეორე ხარისხის უტოლობის ამოხსნა.

კარგადაა მათემატიკის სწავლება დაყენებული სამგორისა და კუმისის საშუალო სკოლების VII კლასებში (მოსწავლეებლები გ. ჩომანიძე და თ. შიომღვლდიშვილი).

მიუხედავად ამისა ზოგიერთ სკოლაში მათემატიკის სწავლების საქმეში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

კუდად დგას ალგებრისა და ელემენტარული ფუნქციების სწავლება თელეთის (მასწ. ნ. ხახვიაშვილი), დიდი ლილოს (მასწ. გ. გულავა), ნორიოს (მასწ. ნ. გიორგობიანი) საშუალო სკოლების IX—X კლასებში. ეს მოსწავლეებლები ღრმად არ ასწავლიან ტრი-

გონომეტრიულ ფუნქციებს. მოსწავლეებმა არ იციან კუთხის ტრიგონომეტრიული ფუნქცია თუ რა სიდიდეა. მათ წარმოდგენა არა აქვთ ტრიგონომეტრიული ფუნქციის ნიშნის ქვეშ, გარდა კუთხისა, შეიძლება თუ არა იყოს განყენებული რიცხვი. ისინი ვერ ხსნიან მარტივი სახის ტრიგონომეტრიულ განტოლებას, არ იციან კუთხის ზოგადი სახის ფორმულები.

თელეთის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა ვერ შეძლეს ორი კუთხის სინუსისა და კოსინუსის ჯამი გარდაექმნათ ნამრავლად. ნორიოს სკოლის ამავე კლასის მოსწავლეებმა ვერ ამოხსნეს მარტივი ამოცანა არითმეტიკულ პროგრესიაზე, ხოლო IX კლასელებმა არ იციან პირველი ხარისხის განტოლების გამოკვლევა და მისი გეომეტრიული ახსნა. აღსანიშნავია ისიც, რომ მასწავლებლები არ იცნობენ განათლების სამინისტროს მეთოდურ წერილს „ალგებრისა და ელემენტარული ფუნქციების და გეომეტრიის გარდაქმნების სწავლება IX კლასში“.


მეტად დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ნორიოს საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში (მასწ. ქ. ცოფურაშვილი). შემოწმების დღეს მოსწავლეებს საკონტროლო წერისათვის მიეცათ გეომეტრიული ამოცანა, რომელიც შეიძლებოდა ამოხსნილიყო ტრიგონომეტრიის გამოყენებით. ნამუშევრების შემოწმებამ გვიჩვენა, რომ 21 მოსწავლიდან შეფასება „2“ მიიღო 17 მა.

ზოგიერთი მასწავლებელი მოსწავლეებს ვერ აძლევს გეომეტრიაში მტკიცე ცოდნას. ისინი მასალას გადასცემენ თვალსაჩინოების გარეშე და ამიტომაც, რომ მათში ნაკლებად არის განვითარებული სივრცითი წარმოდგენები. გამარჯვების საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ნ. ქარელი) არ იციან სიბრტყისადმი პერპენდიკულარული და დახრილი სწორი ხაზები, ხოლო სამგორის საშუალო სკოლის X კლასელებმა (მასწ. მ. კაკაშვილი) — კუთხე სწორ ხაზსა და სიბრტყეს შორის.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება არითმეტიკის სწავლება ნორიოს საშუალო სკოლის V კლასში (მასწ. ზ. ბადრიძე). მოსწავლეებმა ისე სუსტად იციან ათწილადები, რომ ვერ შესძლეს 25 კაპიკი გამოესახათ მანეთებში.

ზოგიერთი მასწავლებელი საკონტროლო ნაწერებს არაგულისხმობდად ასწორებს, ხშირად ტოვებს შეცდომებს გაუსწორებლად

2. კრებული





და ასეთ ნამუშევარს მალალი ნიშნით აფასებს. მაგ., სოფ. დი-  
დი ლილოს საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეს ნ. ბ. ს. 23  
დეკემბრის ალგებრის საკონტროლო წერის დროს მაგალითად  
წორად აქვს ამოხსნილი, ნამუშევარი კი „5“-ზეა შეფასებული.

შემოწმებული სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწი-  
ლის გამგეები არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების მინისტ-  
ტრის 1961 წლის 17 მაისის № 324 ბრძანებას „ზოგადსაგანმანათ-  
ლებლო სკოლებში მათემატიკური დისციპლინების სწავლების გაუმ-  
ჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომლითაც მათ ევალებათ სა-  
კონტროლო სამუშაოების წინასწარ გარჩევა-განხილვა.

შესწავლილი სკოლების ერთ ნაწილში ფიზიკის სწავლება და-  
მაკმაყოფილებლადაა დაყენებული. ეს საგანი კარგად ისწავლება  
კუმისის (მასწ. ნ. გუგუტიშვილი) და დაბა სამგორის (მასწ. ჯ. სუ-  
ლაძე) საშუალო სკოლებში.

არასერიოზულად ეკიდებიან ფიზიკის სწავლებას გამარჯვების  
და ნორიოს საშ. სკოლებში. გამარჯვების სკოლაში ფიზიკის საა-  
თები დაქუცმაცებულია. VII—XI კლასებში ამ საგანს ასწავლის ნ.  
სანამიანი, რომელსაც არა აქვს უმაღლესი პედაგოგიური განათლე-  
ბა. სწავლების დროს იგი გეგმიურად არ იყენებს თვალსაჩინოებას,  
ვერ ატარებს ცდებს, უგულვებელყოფს ლაბორატორიულ სამუშა-  
ოებს. ამ სკოლის X კლასის მოსწავლეებმა არ იციან ელექტრო-  
დენის წარმოშობისა და არსებობის პირობები, კულონის კანონი,  
ვერ არკვევენ აღნიშნულ კანონში პროპორციულობის კოეფიციენ-  
ტის ფიზიკურ არსს. ცუდად ემზადება გაკვეთილისათვის ამავე სკო-  
ლის მასწავლებელი ნ. ქარელი. იგი არ იცნობს ფიზიკურ ხელსაწ-  
ყოებს, სუსტად ერკვევა ფიზიკის ცნებებსა და დებულებებში. ამი-  
ტომ VI კლასის მოსწავლეებმა არ იციან რა არის წნევა, ვერ გან-  
მარტავენ წნევის საზომ ერთეულს, ნორმალურ ატმოსფერულ პი-  
რობებს, ანეროიდის მოქმედების პრინციპს და სხვ.

ნორიოს საშუალო სკოლის VIII კლასში ფიზიკის მასწავლე-  
ბელი გ. აბზიანიძე სპეციალობით აგრონომია, მასწავლებელი არა-  
დამაკმაყოფილებლად ფლობს ძირითად ფიზიკურ ცნებებსა და  
დებულებებს, ამ სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა არ იციან რა  
არის დენი, ძაბვა, წინააღმდეგობა, ვერ აღგენენ ელემენტარულ  
წრედებს და მის შესატყვის სქემებს. ამავე სკოლის X კლასის მოს-  
წავლეებმა (მასწ. ნ. მაკარიძე) არ იციან გამტართა მიმდევრობითი  
შეერთება, არ შეუძლიათ ჩართონ ამპერმეტრი და ვოლტმეტრი,

ვერ ამყარებენ ომის კანონში უბნისათვის შემავალ კომპონენტებს შორის დამოკიდებულებებს და ა. შ. ფიზიკის სწავლებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი იმითაც არის გამოწვეული, რომ გამარჯვებისა და ნორიოს სკოლებში მოწყობილი არ არის კაბინეტი ფიზიკისათვის, საჭირო ხელსაწყო-იარაღები და მოწყობილობანი მოუვლელია, მათი სისტემატურად გამოყენება არ ხერხდება, სათანადო ყურადღება არ ექცევა სასწავლო კინოს, საპროექციო და ფოტოპარატების გამოყენებას.

ქიმიის სწავლების გაუმჯობესების თაობაზე განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული სახელმძღვანელო დოკუმენტების შესაბამისად რაიონის სკოლებში ადგილი აქვს ერთგვარ წარმატებებს. კარგად არის დაყენებული ქიმიის სწავლება კუმისის (მასწ. მ. ტყაბლაძე) და ნორიოს (მასწ. ე. წვერავა) საშუალო სკოლებში. ამ სკოლებში ყველა შესაძლებლობაა გამოყენებული საგნის სწავლების ნორმალური პირობების შექმნისათვის, გამოყოფილია ოთახი კაბინეტებისათვის, აქვთ ქიმიურ ბელსაწყობები და საჭირო ნივთიერებანი პროგრამით გათვალისწინებული ცდების ჩასატარებლად. მასწავლებლები წინასწორ ემზადებიან გაკვეთილისათვის და პასუხისმგებლობით ეკიდებიან მათზე მინდობილ საქმეს. მოსწავლეთა დიდი ნაწილი ამჟღავნებს საფუძვლიან ცოდნას ქიმიაში.

მიუხედავად აღნიშნულისა, ზოგიერთი სკოლის ქიმიის მასწავლებელი უპასუხისმგებლობას იჩენს ამ საგნის სწავლებისადმი. რაიონის რიგ სკოლებში არ არის მოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორია, არა აქვთ ცალკე ოთახი ქიმიის კაბინეტისათვის თელეთისა და დიდი ლილოს საშუალო სკოლებს.

ქიმიის სწავლება სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება დაბა სამგორის (მასწ. ს. ადიკაშვილი) და დიღმის (მასწ. ა. ბროლიძე) საშუალო სკოლებში. მასწავლებელი ს. ადიკაშვილი არაღამაკმაყოფილებლად ემზადება გაკვეთილისათვის, არ უვარგა გაკვეთილის ორგანიზაცია. მიცემული მასალის შესწავლის შემოწმების დროს იგი მხოლოდ საპასუხოდ გამოსულ მოსწავლეზე ამახვილებს ყურადღებას, კლასი კი სრულიად უყურადღებოდ ჰყავს მიტოვებული. უხარისხოდ ტარდება ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოები, მოსწავლეებს იშვიათად ეძლევათ საშინაო დავალებები ამოცანებზე, არაორგანიზებულად ტარდება გავლილი მასალის გამოვლენა. VII კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან ქიმიური მოვლენების არსში, არ იციან რეაქციების ძირითადი ტიპები, წონის

მარადისობის და შედგენილობის მუდმივობის კანონები და სხვ. IX კლასის მოსწავლეებმა არ იციან ავოგადოს კანონი, ვერასა-  
ხელებენ აქტიურ მეტალებს და მეტალოიდებს. არ იციან ცნება  
იზოტოპების შესახებ.

დიღმის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი ე. ბროლაძე  
არ იცავს თემის შესწავლისათვის განკუთვნილ საათებს. მაგალითად,  
მან თემა „ნახშირწყლები“ ნაცვლად 30 საათისა 23 საათში გაი-  
რა, ხოლო ჟანგბადშემცველი ორგანული ნივთიერებების შესასწავ-  
ლი დრო 28 საათი 7 საათით შეამცირა. ამ სკოლაში არ ტარდებ-  
ა საკონტროლო წერები ქიმიაში, მასწავლებელი შეცდომებს უშ-  
ვებს ქიმიური ფორმულების შედგენის დროს. გავლილი მასალის  
გამეორებისას მოსწავლეები სახელმძღვანელოებს იყენებენ და ურ-  
თიერთს კარნახობენ. ამ სკოლის მოსწავლეების მომზადების დონე  
IX—X და XI კლასებში დაბალია.

გეოგრაფია დამაკმაყოფილებლად ისწავლება დიდი ლილს  
(მასწ. თ. ზირაქიშვილი), ნორიოს (მასწ. ი. გოცირიძე), გამარჯვე-  
ბის (მასწ. ვ. რეხვიაშვილი) და დიღმის (მასწ. მ. მალაღაძე) საშუ-  
ალო სკოლებში. ამ სკოლების გეოგრაფიის ყველა მასწავლებელს  
აქვს უმაღლესი განათლება სპეციალობის მიხედვით და პედაგოგიუ-  
რი მუშაობის საკმაო გამოცდილება. მათმა მოსწავლეებმა დამაკმა-  
ყოფილებლად იციან გავლილი მასალის ძირითადი ნაწილი.

მიუხედავად ამისა, გეოგრაფიის სწავლებას დასახელებულ სკო-  
ლებში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები ახასიათებს. თიჯმის ყველა  
მასწავლებელი მასალის გამოკითხვისას ყურადღებას ამახვილებს  
მხოლოდ პასუხისათვის გამოძახებულ 2—3 მოსწავლეზე, კლასი არ  
არის მუშაობაში ჩაბმული, ყურადღება არ ექცევა ახალი მასალის  
განვლილთან დაკავშირებისა და განმეორების თანმიმდევრობას.  
მასწავლებლები მასალას ზერეღედ აშუქებენ, მოსწავლეებს უძნელ-  
დებათ გლობუსსა და რუკებზე ორიენტირება, უკულებელყოფილია  
ატლასისა და კონტურულ რუკებზე მუშაობა, არ სრულდება პროგ-  
რამით გათვალისწინებული სავალდებულო პრაქტიკული სამუშაოე-  
ბი. მოწყობილი არ არის გეოგრაფიის მოედნები და არ წარმოებს  
დაკვირვებები ბუნების მოვლენებზე. ყურადღება არ ექცევა სამ-  
ხარეთმცოდნეო მუშაობას. სკოლებს არ გააჩნიათ საჭირო რაოდენ-  
ობის რუკები, გლობუსები, კომპასები, ატლასები, სურათები და  
პრაქტიკული მუშაობისათვის საჭირო ხელსაწყოები. სკოლებში მო-

წყობილი არ არის გეოგრაფიის კლასკაბინეტები, არაა ჩამოყალიბებული ნორჩ გეოგრაფთა წრეები.

ბიოლოგია კარგად ისწავლება გამარჯვებისა (მასწ. გ. გოგოჭური) და კუმისის (მასწ. მ. ტყაბლაძე) საშუალო სკოლებში. მასწავლებელი გ. გოგოჭური VII კლასში უმაღლეს ძუძუმწოვართა მიმოხილვისას, კერძოდ მტაცებელთა რიგის განხილვის დროს, შეენო მტაცებელთა გარემოში სწრაფად გარკვევის თვისებებს, მათ მოწინაურებულ სახეობათა, კერძოდ, ძაღლის წვრთნას. გაკვეთილის სრულყოფისათვის სხვა ღონისძიებებთან ერთად მან მოხერხებულად გამოიყენა უახლოეს დღეებში ტელევიზიით გადმოცემული კინონარკვევი.

საპროგრამო მასალა ბიოლოგიაში სუსტად იციან დიღმის (მასწ. ქ. ფარცვანია) და თელეთის (მასწ. ი. გველესიანი) საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. დიღმის სკოლის V კლასის მოსწავლეებმა არ იციან მცენარეთა დაჯგუფება გარეგანი აგებულების მიხედვით, ყვავილის აგებულება, ფოთლის დანიშნულება და სხვ. ხოლო VI კლასის მოსწავლეები ვერ პასუხობენ კითხვაზე—რა არის ბიოლოგია, რას შეისწავლის ზოოლოგია, როგორია ქალამანის სხეულის აგებულება, რას ნიშნავს ინცისტირება და სხვ. მასწავლებელს არ უვარგა გაკვეთილის ორგანიზაცია. მან ახალი გაკვეთილი „ამება“ VI კლასში 10 წუთში ახსნა. დაბალია მოსწავლეების მომზადების დონე.

ვარდაბნის რაიონის ზოგიერთ სკოლაში შრომითი სწავლების მასწავლებლად და სახელოსნოს გამგეებად შერჩეულია უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები, რომლებიც კარგად ხელმძღვანელობენ ამ საგნის სწავლებას. მაგალითად, დაბა სამგორის საშუალო სკოლაში მასწავლებელი ა. დათაშვილი სპეციალობით მეთევზეა, ასწავლის მერქნის დამუშავებას. ასევე კარგადაა შერჩეული საცდელი პრაქტიკული მუშაობის მასწავლებელი სოფლის მეურნეობაში და სასწავლო-საცდელი ნაკვეთის გამგე ნორიოს, დიღმისა და კუმისის საშუალო სკოლებში.

ზოგიერთ სკოლაში სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ამ საგნის სწავლებას, თელეთის და ნორიოს საშუალო სკოლებში შრომას ასწავლიან ფიზკულტურის მასწავლებლები გ. სარუხანოვი და დ. მათიაშვილი. ხოლო ნორიოს საშ. სკოლის ამავე საგ-



ნის მასწავლებელი მ. მუხიაშვილი ზოგადი საშუალო განათლებითაა. მათ არ იციან საგანი, ვერ ერკვევიან პროგრამაში, ისინი გაკვეთილებს თვალსაჩინოებისა და პრაქტიკული სამუშაოების გათვალისწინებით ატარებენ. შრომითი სწავლების პროგრამიდან თითქმის ყველა სკოლაში ამოღებულია შრომის მექანიზაცია და მხოლოდ ელექტროსამონტაჟო საქმე ისწავლება. დიდი ლილოს საშ. სკოლაში არ ისწავლება ლითონის დამუშავება. სახელოსნოში დაცული არ არის უსაფრთხოებისა და შრომითი ჰიგიენის წესები.

საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების უზრუნველსაყოფად რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას გარკვეული მუშაობა აქვს ჩატარებული. მას მოეპოვება ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის სიები სკოლების და სასოფლო საბჭოების მიხედვით, საკითხი განხილულია მშრომელთა დეპუტატების გარდაბნის რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე, სახალხო განათლების საბჭოსა და განათლების უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმზე.

მიუხედავად ამისა, ამ საქმეში სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. რაიონის სკოლებიდან სხვადასხვა დროს განთესილია 89 მოსწავლე, აქედან მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას დაუბრუნდა 34 მოსწავლე, სკოლის გარეთ დარჩენილია 55 ბავშვი და მოზარდი.

შემოწმებით გამოირკვა რომ 6 საშუალო სკოლის (დაბა სამგორის, თელეთის, დიდი ლილოს, ნორიოს, გამარჯვებისა და დიღმის) I კლასებში 1957—1958 სასწავლო წელს ჩაირიცხა 269 მოსწავლე, აქედან 1964—1965 სასწავლო წელს VIII კლასებში სწავლობს 143, VII კლასებში—49, VI კლასებში—20, V კლასებში—5 და IV კლასში—I მოსწავლე; ამრიგად IV—VIII კლასებში სწავლობს 218 მოსწავლე. გასულია სკოლებიდან საბატიო მიზეზით 36 მოსწავლე, ხოლო არასაბატიო მიზეზით სკოლას ჩამოშორდა 15 ბავშვი და მოზარდი.

განათლების სამინისტროს ბრძანებების შესაბამისად სკოლებში შექმნილია საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების საგუშაგოები. არ სრულდება განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქ. სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილება საყოველთაო სწავლების საგუშაგოების მიერ ანგარიშგების შესახებ.

სკოლის მუშაობის ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად გარკვეულ მუშაობას ეწევა დიდმის, დაბა სამგორისა და გამარჯვების საშუალო სკოლების ხელმძღვანელობა (დირექტორები ვ. სონდულაშვილი, გ. მეფისაშვილი და გ. გოგოჭური). მაგალითად, დიდმის საშუალო სკოლის თითქმის ყველა მასწავლებელი უზრუნველყოფილია ნორმალური მუშაობისათვის საჭირო პირობებით; გარდა გეოგრაფიისა, ყველა საგანშია შექმნილი კაბინეტ-ლაბორატორია, კაბინეტები ან კლასკაბინეტები. სკოლას მოეპოვება სახელოსნოები, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი, ცოცხალი ბუნების კუთხე, შესაფერისი ოთახი ბიბლიოთეკისათვის და ა. შ. დიდი ლილოს საშუალო სკოლა დაკომპლექტებულია შესაფერისი კადრებით, დირექტორი ისტორიკოსია, სასწავლო ნაწილის გამგე მათემატიკოსი, V—XI კლასების ყველა მასწავლებელს აქვს უმაღლესი განათლება და საგანს ასწავლიან სპეციალობის მიხედვით. I—IV კლასების ყველა მასწავლებელს დამთავრებული აქვს უმაღლესი სასწავლებლის დაწყებითი განათლების ფაკულტეტი ან პედაგოგიური სასწავლებელი.

ზოგიერთი სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე ყოველდღიურ ხელმძღვანელობას და კონტროლს ახორციელებს მასწავლებელთა მუშაობაზე. გარკვეული ყურადღება ექცევა კლასის ხელმძღვანელების მუშაობისადმი კონტროლს, ტარდება ღონისძიებები მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულებისათვის.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სასწავლო მატერიალური ბაზით სკოლების უზრუნველყოფის, მასწავლებელთა ყოველდღიურ მუშაობაზე ზედამხედველობისა და დანხარების, ძირითადი სასკოლო დოკუმენტაციის წარმოების, მაღალი აკადემიური მაჩვენებლებისათვის ბრძოლის საქმეში შემოწმებულ სკოლებს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები გააჩნიათ.

შეუფერებელ სასკოლო შენობაში უხდება მუშაობა ნორიოს საშუალო სკოლას, რომელიც რაიონში ერთ-ერთი დიდი სკოლაა. სკოლას არა აქვს კაბინეტები, ფიზკულტურის დარბაზი და ეზო, სადაც შესაძლებელია მასიური ღონისძიებების ჩატარება. პატარა ნაკვეთი, რომელიც სკოლასთან მდებარეობს და ფიზკულტურის მოედნად იყენებდნენ, კერძო მობინადრეს დაუკავებია. თელეთის საშუალო სკოლა ახალ შენობაშია მოთავსებული, რომლის სველი წერტილის ადგილები საკუჭნაოებად არის გამოყენებული, სკოლა უზრუნველყოფილი არ არის წყლით, ხშირად ზიანდება გათბობის

სისტემა და სკოლას მიძიე პირობებში უხდება მუშაობა. შემოთ  
უზრუნველყოფილი არ არის დიდი ლილოსა და გამარჯვების სკო-  
ლები; კუმისის საშუალო სკოლის კარმიდამო, ეზო და დახმარე  
სათავსოები მოუწყვსრიგებელი და მოუწყობელია. სასწავლო საცდ-  
ელი მიწის ნაკვეთით უზრუნველყოფილი არ არის დიდი ლილოს  
საშუალო სკოლა, არც ერთ სკოლაში მოწყობილი არ არის სასათ-  
ბურო მეთურნობა.

სათანადო ყურადღება არ ექცევა სკოლების შესაფერისი კად-  
რებით დაკომპლექტებას. თელეთის საშუალო სკოლაში დირექტო-  
რი და სასწავლო ნაწილის გამგე ისტორიკოსებია. ნორიოს საშუა-  
ლო სკოლის დაწყებითი კლასების ოთხი მასწავლებელი ზოგადი  
საშუალო განათლებითაა.

არადამაკმაყოფილებელია ზოგიერთი სკოლის დირექტორი-  
სა და სასწავლო ნაწილის გამგეების კონტროლი და დახმარება  
მასწავლებლების მუშაობაზე, ისინი ვულდასმით არ ამოწმებენ საგნე-  
ბის სწავლების მდგომარეობას, არ ეძიებენ და არ არკვევენ ნაკ-  
ლოვანების მიზეზებს და მის შესაბამისად არ ატარებენ აუცილე-  
ბლად საჭირო ღონისძიებებს. მაგალითად, კუმისის საშუალო სკო-  
ლის X კლასში (მასწ. გ. ზაალიშვილი) გასულ სასწავლო წელს არ  
შეუსწავლიათ ეგ. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილისა და ირ. ევდო-  
შვილის შემოქმედებანი და გადმოუტანია XI კლასში, რის შედე-  
გადაც წელს ამ საგნის სწავლება ნაჩქარევად წარმოებს. სკოლის  
ხელმძღვანელობისათვის ეს ფაქტი ცნობილი გახდა სკოლის მუშა-  
ობის შემოწმების პროცესში.

ცუდად არის დაყენებული მეთოდური მუშაობა. სკოლების  
მიერ სწორად არ არის გაგებული საგნობრივი მეთოდური გაერთი-  
ანების არსი. შემოწმების პერიოდში სკოლებში შექმნილი იყო საგ-  
ნობრივი მეთოდური გაერთიანება არა თითოეული საგნის, არამედ  
სხვადასხვა საგნის მასწავლებელთათვის ერთად, ასევე არასწორა-  
დაა შედგენილი კლასის ხელმძღვანელთა მეთოდური გაერთიანება,  
მათ სამუშაო გეგმებში გათვალისწინებული საკითხები არაკონკრე-  
ტული და ზოგადი ხასიათისაა. პედაგოგიური კაბინეტის გამგედ  
1965 წლის I-ლი თებერვლიდან გადაყვანილია სასკოლო ინსპექტო-  
რი ნ. ტაბლიაშვილი, რომელიც კარგად ერკვევა სასკოლო მუშაო-  
ბაში და შესაძლებლობა აქვს გამოასწოროს ამ მხრივ არსებული  
ნაკლოვანებანი.

სკოლების წლიურ სამუშაო გეგმებში შეტანილი არ არის ზოგადი ხასიათის საკითხები ცალკეული საგნების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ზოგიერთ სკოლაში უხარისხოდ არის შედგენილი ვაკვეთილების ცხრილი, განსაკუთრებით იმ სკოლებში, სადაც მასწავლებელთა დიდი ნაწილი თბილისიდან ჯდადის სამუშაოდ. მაგალითად, დიდი ლილოს საშუალო სკოლის VII—VIII კლასებში ქიმიკა, რომელსაც 2 კვირეული საათი აქვს დათმობილი, ცხრილში შეტანილია ხუთშაბათს და შაბათს, თელეთის საშუალო სკოლის X კლასში ფიზიკა შეტანილია ყოველთვის პირველ ან მეექვსე ვაკვეთილად, ანალოგიური მდგომარეობაა ნორიოს, გამარჯვების და სხვა სკოლებში.

ზოგიერთ სკოლაში ცუდადაა დაყენებული აკადემიური წარმატების აღრიცხვის საქმე. მაგალითად, ნორიოს, კუმისის, თელეთისა და დაბა სამგორის საშუალო სკოლებში არასწორად არის გამოყვანილი მეოთხედური ნიშნები. ნორიოს საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლეს ნ. დ.ს II მეოთხედში მიუღია „3“ და—„2“, მეოთხედის ნიშნად შეტანილია „3“. ხშირია საკლასო და მოსწავლის ყოფაქცევისა და აკადემიური წარმატების ჟურნალებში ნიშნების გადასწორების შემთხვევები. სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეების მიერ ვაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენისა და დაგვიანების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს, მაგალითად, დიდი ლილოს საშ. სკოლაში II მეოთხედში გაცდენილია 3.251 ვაკვეთილი, აქედან უმიზეზოდ—2361 ვაკვეთილი. ანალოგიური მდგომარეობაა ნორიოსა და თელეთის საშ. სკოლებში.

ნორიოს, კუმისის და გამარჯვების საშ. სკოლებში (დირექტორები ა. ბაღრიძე, გ. ალავეძე, გ. გოგოჭყორი) რეგულარულად არ ტარდება პედაგოგიური საბჭოს სხდომები, სხდომებზე ძირითადად განხილულია მეოთხედის შედეგები, არაკონკრეტულია დადგენილებები, ზონარგაყრილი, დალუქული და განათლების განყოფილების მიერ შემოწმებული არ არის პედაგოგიური საბჭოს ოქმების, ინვენტარისა და ბრძანებების წიგნები, ატესტატებისა და მოწმობების აღრიცხვის ჟურნალები და სხვ.

ბრიგადის ხელმძღვანელი სასკოლო ინსპექტორი ნ. ახვლედიანი



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ.  
9 აპრილის ბრძანება № 355

უცხო ენების გაძლიერებული სწავლების სკოლებში უცხო ენების  
სწავლების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ უცხო ენების სწავლების სათანადო დონეზე დაყენების საქმეში მნიშვნელოვან მუშაობას ატარებენ ქ. თბილისის 47-ე, 57-ე, 116-ე, ქ. ქუთაისის მე-3, ქ. სოხუმის მე-17 (ინგლისური ენა), ქ. თბილისის მე-4 (გერმანული ენა) სკოლები, სადაც შესაძლებლობის ფარგლებში შექმნილია პირობები სწავლების უკეთ წარმართვისათვის. მოწყობილია სათანადო კაბინეტები, რომლებიც მომარაგებულია თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალებით. ამ სკოლებსა (გარდა თბილისის 116-ე სკოლისა) და ბათუმის მე-16 სკოლაში დირექტორის მოადგილეებად სასწავლო მუშაობის დარგში დანიშნული არიან შესაბამისი ენის სპეციალისტები. ისინი ყოველდღიურ კონტროლსა და ხელმძღვანელობას უწევენ მასწავლებლებს, განსაკუთრებით იმათ, ვისაც პედაგოგიური დახელოვნება აკლია:

რიგი სკოლების სპეციალურ კლასებში მუშაობენ სათანადო მომზადებისა და პედაგოგიური გამოცდილების მქონე მასწავლებლები. კარგად ფლობენ რა ენას, ისინი მრავალმხრივ მუშაობას აწარმოებენ ენის სწავლების ცალკეული ასპექტების მიხედვით, ფართოდ იყენებენ როგორც არსებულ, ისე თვითნაკეთ თვალსაჩინოებას. მათი მოსწავლეები ამჟღავნებენ შესწავლილი მასალის კარგ ცოდნას. ასეთი მასწავლებლების რიცხვს მიეკუთვნებიან: ინგლისურ ენაში თ. თოფურია, ლ. მაისურაძე, ჯ. თაბაგარი (თბილისის 24-ე სკოლა); თ. გეგეჭკორი, ბ. მიქელაძე, ს. შაგინიანი, ლ. გაბრიჩიძე, ნ. გამცემლიძე (47-ე სკოლა); ე. ზაქარიაძე, ქ. ბრეგაძე (53-ე სკოლა); თ. ზაფგოროდნაია, ლ. ბერიძე, ლ. მაქარაშვილი (55-ე სკოლა); ლ. მენაბდე (57-ე სკოლა); ც. კალანდაძე, ლ. ცინცაძე (75-ე სკოლა); ნ. იაკუბოვა, ი. ვერბა, შ. შვარცი, ს. სარქისიანი (116-ე სკოლა);

ლ. მარგველაშვილი, მ. გუქასოვა, ე. ბალანჩივაძე (ქ. ქუთაისის მე-3 სკოლა), ც. თოლორაია, ე. კაჭარავა (სოხუმის I-ლი სკოლა), ნ. ურმუზოვა, თ. ქირია, გ. ბაგდასარიანი (სოხუმის მე-17 სკოლა), ნ. ერანოზოვა, ნ. კონკალიდი (ბათუმის მე-16 სკოლა); გერმანულ ენაში—კ. გვაზავა, ვ. თვალაბეიშვილი (თბილისის მე-4 სკოლა), კ. ცარბაკი (სოხუმის მე-10 სკოლა); ფრანგულ ენაში—ჟ. კობახიძე, ს. ფელზერი, ლ. ნონიკაშვილი (23-ე სკოლა).

მაგრამ უცხო ენების გაძლიერებულად სწავლების საქმე რესპუბლიკაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება: სკოლებს არ გააჩნიათ შესაფერისი მატერიალური ბაზა, რის გამოც კლასების განაყოფებს არა აქვთ შექმნილი მუშაობის ნორმალური პირობები; ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა იმ სკოლებში, სადაც ინგლისური ენის სწავლება შემოღებული იქნა სამ და მეტ-პარალელურ კლასში.

სკოლების დირექტორებმა დღემდე ვერ უზრუნველჰყვეს უცხო ენებისათვის ცალკე კაბინეტების გამოყოფა, ხოლო ის თვალსაჩინო მასალა, რაც მათ გააჩნიათ, კარადებში ინახება; სასკოლო ბიბლიოთეკებში ძალზე მცირე რაოდენობით მოიპოვება უცხო ენაზე საკითხავი ლიტერატურა და ლექსიკონები (თბილისის მე-11, მე-12, 23-ე, 24-ე, 55-ე, 58-ე, 75-ე, 88-ე, 116-ე, სოხუმის I-ლი, ბათუმის მე-16 სკოლები).

რესპუბლიკაში არსებული ამ ტიპის 26 სკოლიდან 19 სკოლაში ჯერ კიდევ არ არის დანიშნული დირექტორის მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში სპეციალური განათლებით. ამ სკოლების მასწავლებლები, რომლებიც კარგად ფლობენ ენას და მონდომებით მუშაობენ, მოკლებულნი არიან კვალიფიცირებულ მეთოდურ ხელმძღვანელობას და ზოგ შემთხვევაში ვერ აღწევენ სასურველ შედეგს.

მიუხედავად მიღებული ღონისძიებებისა, ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ სრულდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1961 წლის 3 ოქტომბერს დამტკიცებული დებულება. ზოგიერთი საგნის უცხო ენაზე სწავლების სკოლების შესახებ. ამ ტიპის სკოლებში კვლავ ასწავლიან ისეთი მასწავლებლები, რომლებიც სუსტად ფლობენ ენას, გაკვეთილს ძირითადად მშობლიურ ენაზე წარმართავენ, ტექსტზე მუშაობისას იფარგლებიან კითხვა-თარგმნის მეთოდით, რის გამოც მათი მოსწავლეები პროგრამით გათვალისწინებული მასალის სუსტ ცოდნას ამჟღავნებენ. ასეთი მასწავლებლე-

ბი არიან: ნ. ზირაქაძე, ე. ლასარეიშვილი (53-ე სკოლა), ე. გრძელიშვილი, ნ. ლანჩავა (55-ე სკოლა), ა. საღორეშვილი (88-ე სკოლა), ლ. კაციტაძე (ბათუმის მე-16 სკოლა), ლ. ეზუგბაია, მ. ნაჭყვიაძე (სოხუმის I-ლი სკოლა), ნ. გვაძაბია (სოხუმის მე-17 სკოლა). უფრო მეტიც, ქ. სოხუმის მე-17 სკოლაში დანიშნულ მასწავლებელ ნ. გელენიძეს, გარდა იმისა რომ სუსტად ფლობს ენას, დიპლომიც არა აქვს.

სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა წერიითი კულტურის ამალგების საქმეს. საშინაო—საკლასო რვეულები და სიტყვარები მასწავლებლების მიერ არ სწორდება ან სწორდება ზერეულად და არასისტემატურად, რის გამო მათში ბევრია უხეში შეცდომა; მოსწავლეთა უმრავლესობას არ უფარვა კალიგრაფია.

დებულების თანახმად ამ ტიპის სკოლებში VI კლასიდან შემოღებული უნდა იქნეს ზოგიერთი საგნის უცხო ენაზე სწავლება, მაგრამ შემოწმების მასალებიდან ირკვევა, რომ ახლანდელი V კლასების მოსწავლეთა ცოდნის დონე (იმ სკოლებშიც კი, სადაც ენის სწავლება კარგად არის დაყენებული), არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მათ სრული მოცულობით შეძლონ რომელიმე საგნის შესწავლა უცხო ენაზე.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სკოლის დირექტორი იჩენს თვითნებობას და სკოლისათვის სავალდებულო უცხო ენის პარალელურად შემოაქვს მეორე უცხო ენის სწავლება რამდენიმე მე-5 კლასში. ასე, მაგალითად, თბილისის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორმა ამხ. ა. ქურდიძემ, ნაცვლად ერთი მეხუთე კლასისა, რაც განათლების სამინისტროს 1963 წლის 5 სექტემბრის №781 ბრძანებით იყო გათვალისწინებული, ინგლისური ენის სწავლება შემოიღო სამ მეხუთე კლასში.

ზოგი სკოლის ხელმძღვანელი სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდება სკოლებში უცხო ენის გაძლიერებულად სწავლების შემოღებას, არ ღებულობენ ზომებს სკოლის სასწავლო ბაზის განმტკიცებისა და უცხო ენის სწავლების პირობების გასაუმჯობესებლად შესაძლებლობის ფარგლებშიც კი.

ზოგიერთი საგნის უცხო ენაზე სწავლების სკოლების სასწავლო გეგმის მიხედვით III—IV კლასებში გათვალისწინებულია უცხო ენის გაკვეთილზე მოძრავი თამაშობების უცხო ენაზე ჩატარება, ხოლო V—VIII კლასებში მოსწავლეთა ჩაბმა მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში, რომლებიც ასევე უცხო ენაზე უნდა წარიმართოს,

მაგრამ ეს მოთხოვნა ჯერჯერობით არც ერთ სკოლაში არ ხორციელდება, რადგან უცხო ენების მასწავლებლები არ არიან დაუფლებული სპორტული ღონისძიებების ჩატარების საქმეს.

## გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

### 1. უცხო ენების მასწავლებლებმა:

ა) ყოველდღიურად იზრუნონ თავისი თეორიული ღონის ამალღებისა და პედაგოგიური დახელოვნებისათვის; გულდასმით მოემზადონ ყოველი გაკვეთილისათვის, სისტემატურად დაესწრონ მოწინავე მასწავლებელთა გაკვეთილებს გამოცდილების გაზიარების მიზნით; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში ზეპირმეტყველების ჩვევების გამომუშავებას, სწორი კითხვისა და წერის კულტურის დანერგვას, სისტემატურად და გულდასმით გაასწორონ საკონტროლო, საკლასო—საშინაო რვეულები და სიტყვარები; ყოველ გაკვეთილზე რამდენიმე წუთი დაუთმონ საყოფაცხოვრებო თემებზე საუბარს, სწავლების პროცესში მაქსიმალურად გამოიყენონ როგორც არსებული, ისე თვითნაკეთი თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალები, ტექნიკა;

ბ) ფართოდ გაშალონ სხვადასხვა სახის კლასგარეშე მუშაობა მოსწავლეთა მომზადების შესაბამისად და უზრუნველყონ მათი მონაწილეობა სკოლაში მოწყობილ დილა-სალამოებში.

2. სკოლების დირექტორებმა და დირექტორების მოადგილეებმა სასწავლო მუშაობის დარგში ყოველი ღონე იხმარონ სპეციალური კაბინეტების მოსაწყობად, აღჭურვონ ისინი საჭირო თვალსაჩინო მასალებით და ტექნიკური საშუალებით, სისტემატურად იზრუნონ უცხო ენაზე კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურით სასკოლო ბიბლიოთეკების შევსებაზე.

3. ქ. თბილისის (თ. ეგაძე), ქუთაისის (ი. გენძეხაძე), სოხუმის (ლ. უჩანეთვილი), ბათუმის (გ. ლორთქიფანიძე), ფოთის (ა. ცადაია), გორის (ი. ჯამბრივილი), რუსთავის (ს. როსნაძე), ზუგდიდისა (მ. ნარმანია) და თელავის (ა. ნადაშვილი) რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) დეტალურად შეისწავლონ ამ სკოლების სასწავლო-მეტერიალური ბაზა და მისი გაუმჯობესების მიზნით ადგილზე გაატარონ საჭირო ღონისძიებანი სკოლების კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი თანხებიდან, ხოლო თუ რომელიმე სკოლაში ნორმალური მუშაობისათვის სათანადო პირობების შექმნა მოუხერ-



ხებელია, მიმდინარე წლის 15 მაისამდე წარმოადგინონ დასაბუთებული წინადადებანი ასეთ სკოლებში უცხო ენების გაძლიერებული სწავლების კლასებში შემდგომი მიღების შეწყვეტისა და მათ ნაცვლად სხვა შესაფერის სკოლებში მისი შემოღების შესახებ;

ბ) ამ სკოლებში მასწავლებელთა დანიშვნის საქმეში განუხრელად იხელმძღვანელონ ზოგიერთი საგნის უცხო ენაზე სწავლების სკოლების დებულებით;

გ) ენის შესწავლისათვის გარემოს შექმნის მიზნით უზრუნველყონ ამ სკოლებში სასწავლო მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილედ, ბიბლიოთეკარად და უფროს პიონერხელმძღვანელად შესაბამისი უცხო ენის მცოდნე პირების დანიშვნა, თანახმად დებულებისა.

დ) მასწავლებლები: ნ. ზირაქაძე, ე. ლასარეიშვილი (53-ე სკოლა), ე. გრძელიშვილი, ნ. ლანჩავა (55-ე სკოლა), ა. საღრიშვილი (88-ე სკოლა), ლ. კაციტიძე (ბათუმის მე-16 სკოლა) ლ. ეზუგბაია, ზ. ლაგვილაძე, მ. ნაჭყებია (სოხუმის I-ლი სკოლა), ნ. გვაძაბია, ნ. გელენიძე (სოხუმის მე-17 სკოლა). როგორც ასეთი ტიპის სკოლებისათვის შეუფერებელნი, მომავალი სასწავლო წლიდან გადაიყვანონ ჩვეულებრივი ტიპის სკოლებში.

ე) დამატებით შეისწავლონ იმ სკოლების მუშაობა, რომლებიც ამ ჯერად არ ყოფილა შემოწმებული, და გამოვლინებული სუსტად მომუშავე მასწავლებლები გადაიყვანონ ჩვეულებრივი ტიპის სკოლებში.

4. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ტ. ტყემალაძე) გაითვალისწინოს უახლოეს წლებში სამივე უცხო ენაზე კლასგარეშე საკითხავი ადაპტირებული ლიტერატურის გამოცემა.

5. ეთხოვოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტს საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის შემოღებულ იქნეს რადიოგადაცემები სამივე უცხო ენაზე ორ კვირაში ერთხელ.

6. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს ზოგიერთი საგნის უცხო ენაზე სწავლების ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი.

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ. 13 აპრილის ბრძანება № 382

### სასკოლო ინტერნატების მუშაობის შესახებ

განათლების განყოფილებებმა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს სასკოლო ინტერნატების ორგანიზაციისა და მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ამჟამად 229 სასკოლო ინტერნატი არსებობს, რომლებიც 8048 მოსწავლეს აერთიანებს, მათ შორის სახელმწიფო ხარჯზე იკვებება 2266 მოსწავლე. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სასკოლო ინტერნატებში აღსაზრდელთა რაოდენობა 1200 მოსწავლით გაიზარდა.

ამასთან ერთად რიგი რაიონების განათლების განყოფილებები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სასკოლო ინტერნატების ქსელის გაფართოებას. უგულვებელყოფილია სასკოლო ინტერნატების როლი საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების, სწავლის დონის ამაღლებისა და სოფლის ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

1963—64 სასწავლო წელს მოსწავლეთა საცხოვრებელი ადგილის სკოლებიდან დაშორების გამო I—VIII კლასებში სწავლას ჩამოშორდა 399 მოსწავლე. არსებული ცნობებით სოფლის სკოლების 60 ათასამდე მოსწავლეს შორი მანძილიდან ფეხით უხდებიათ სკოლაში სიარული, მათ შორის ერთი ნაწილი დაქირავებულ კერძო ბინებში ცხოვრობს და მხოლოდ ზემო აღნიშნული 8 ათასი მოსწავლეა გაერთიანებული სასკოლო ინტერნატებში.

სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის 32 სასკოლო ინტერნატში ცხოვრობს 1128 ბავშვი, აქედან 492 ბავშვს ჯერ კიდევ ცხოვრება უხდება დაქირავებულ და კეთილმოუწყობელ ბინებში, რომლებიც ერთმანეთისაგან დიდი მანძილითაა დაშორებული.

წითელწყაროს რუსული საშუალო სკოლის 21 ბავშვი უხოდ  
რობს დაქირავებულ ბინაში, რისთვისაც რაიონის განათლების გან-  
ყოფილება ყოველწლიურად კომუნალურ მეურნეობას 1300 მანეთს  
უხდის. შეუფერებელ და მოუწყობელ ბინებშია მოთავსებული დუ-  
შეთის რაიონის სასკოლო ინტერნატები.

სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის სასკოლო ინტერნატებში არ არის  
მოგვარებული მოსწავლეთა კვება, ხოლო წითელწყაროს რაიონის  
სასკოლო ინტერნატის სამზარეულოში საკმაო რაოდენობით არ  
აქვთ ჭურჭელი, არაა დაცული სანიტარულ-ჰიგიენური წესები.

სასკოლო ინტერნატები არ არიან უზრუნველყოფილი რბილი  
და მაგარი ინვენტარით. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა  
სოფ. მღეთის სასკოლო ინტერნატში. ცუდადაა დაყენებული მოსწავლეთა  
სამედიცინო მომსახურება, არ ტარდება სამედიცინო შემოწმება და პროფილაქტიკური ღონისძიებანი, არადამა-  
კმაყოფილებელია სანიტარული პირობები.

### გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა,  
სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა  
გამგეობმა:

ა) გააძლიერონ კონტროლი და დახმარება სასკოლო ინტერნატებისადმი;  
მიიღონ გადამჭრელი ზომები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის  
გაუმჯობესებისათვის; განამტკიცონ სასწავლო-მატერიალური ბაზა;  
დააწესონ კონტროლი სახელმწიფო ბიუჯეტით სასკოლო ინტერნატებისათვის  
გათვალისწინებული თანხების ათვისებისა და სკოლის ნაკვეთებიდან,  
დამხმარე მეურნეობიდან მიღებული პროდუქტების გამოყენების  
მდგომარეობაზე;

ბ) დააყენონ საკითხი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა  
ორგანოების წინაშე, სასკოლო ინტერნატების შესაფერისი ბინით,  
გათბობა-განათებით, რბილი და მაგარი ინვენტარით უზრუნველყოფის  
შესახებ;

გ) უზრუნველყონ სასკოლო ინტერნატების აღმზრდელთა გადაზადება,  
მიავლინონ ისინი დახელოვნების კურსებსა და სემინარებზე.

2. სკოლის დირექტორებმა:

ა) გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სას-

კოლო ინტერნატებში მცხოვრებ მოსწავლეთა შორის, მიადწიონ იმას, რომ ისინი სისტემატურად იმყოფებოდნენ აღმზრდელ-მასწავლებელთა მეთვალყურეობის ქვეშ;

ბ) მიიღონ ზომები სასკოლო ინტერნატებში მცხოვრებ ბავშვთა კვების გაუმჯობესებისათვის;

გ) მტკიცე კონტროლი დააწესონ სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვასა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარებაზე.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გააუმჯობესოს სასკოლო ინტერნატებში მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურება.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 31 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი



გ ა მ ტ კ ი ც ე ბ  
საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი  
1965 წლის 16 აპრილი

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებული  
სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური კომისიისა**

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებული სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური კომისიის მიზანია კონტროლი გაუწიოს ყველა ასაკის ბავშვის, ყველა ტიპისა და უწყების საბავშვო დაწესებულებებისათვის შემოღებულ თამაშს, სათამაშოებისა და სათამაშო მოწყობილობის წარმოებას, რომელიც უნდა უზრუნველყოს კომუნისტური აღზრდის ამოცანებს.

2. სამხატვრო-ტექნიკური კომისია თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით, საქართველოს სსრ განათლების, სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით.

3. სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური კომისია ხელს უწყობს სათამაშოებისა და სათამაშო მოწყობილობის ასორტიმენტის გაფართოებასა და განახლებას, პასუხისმგებელია დამტკიცებული ნიმუშების ხარისხისა და მათი პედაგოგიური ღირებულებისათვის.

სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკურ კომისიას უფლება აქვს არ მიიღოს ისეთი სათამაშოების ნიმუშები, რომლებიც არ პასუხობენ საბჭოთა სათამაშოს წინაშე დაყენებულ ესთეტიკურ და პედაგოგიურ მოთხოვნებს.

4. ამ ამოცანების განსახორციელებლად სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური კომისია ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) იხილავს და ამტკიცებს ადგილობრივი მრეწველობის, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სხვა უწყებების საწარმოთა და ცალკეული ავტორების მიერ დამზადებული სათამაშოების ნიმუშებს;

ბ) კრძალავს ისეთი სათამაშოების წარმოებასა და ვაგონულეობას, რომელიც არ შეესაბამება დამტკიცებულ ნიმუშს;

გ) სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური კომისია ხელსაყრებს სათამაშოების საუკეთესო ნიმუშების დანერგვას წარმოებაში;

დ) იხილავს რესპუბლიკის სათამაშოების წარმოების გეგმებს და თავის წინადადებებს აძლევს მათ;

ე) იხილავს საქართველოს სს რესპუბლიკის წარმოებების მიერ გამოსაშვებ ნაბეჭდ-სამაგიდო სათამაშოების გეგმებს;

ვ) პერიოდულად აწყობს თამაშობების, სათამაშოებისა და სათამაშო-მოწყობილობათა გამოფენებსა და კონკურსებს;

5. სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკურ კომისიას ცალკეული პრინციპული ხასიათის საკითხები განსახილველად გააქვს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიაზე.

6. სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური კომისიის შემადგენლობაში შედიან სახალხო განათლების ორგანოების, სანინსპექციის პასუხისმგებელი წარმომადგენლები, მხატვრები, წარმოების მუშაკები, ალკ კომიტეტები, მგეგმაფი და სავაჭრო ორგანიზაციების, ადგილობრივი მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის საბჭოს წარმომადგენლები, სულ 10—13 კაცი.

სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური კომისიის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

7. სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური კომისიის თავმჯდომარეა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე, ხოლო თავმჯდომარის მოადგილე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის განყოფილების უფროსი.

8. სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური კომისიის სხდომები ინიშნება ნიმუშების დაგროვების მიხედვით (ნიმუშის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 20 დღეს).

კომისიის გადაწყვეტილება უფლებამოსილია კომისიის შემადგენლობის ორი მესამედის სახეზე ყოფნის შემთხვევაში; სხდომაზე გამომწვევტი ხმის უფლება აქვს მხოლოდ კომისიის წევრებს. მოწვეული ამხანაგები სარგებლობენ საათობირო ხმის უფლებით.

თუ კომისიის რომელიმე წევრს დამოკიდებულება აქვს ნიმუშის დამტკიცებასთან (ავტორი, თანავტორი, კონსულტანტი) იგი არ ღებულობს მონაწილეობას ხმის მიცემაში.

9. კომისიისათვის სათამაშოების ნიმუშები წარმოდგენილ უნ-

და იქნეს ორ ეგზემპლარად (დაპლომბილი). ერთი ეგზემპლარი ნი-  
მუშის სახით ეგზავნება წარმოებას, ხოლო მეორე—რჩება კომისიას,  
როგორც საკონტროლო ნიმუში. ერთი წლის შემდეგ კომისიას უფე-  
ლება აქვს სათამაშოების საკონტროლო ნიმუშები გადასცეს საბაგ-  
შვო დაწესებულებას აქტით.

კომისიის გადაწყვეტილება სხდომის ოქმში შეტანილი უნდა  
იქნეს ზუსტად და გარკვევით; ოქმს ხელს აწერს თავმჯდომარე და  
მდივანი.

10. სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური კომისიის მუშაობის  
ორგანიზაცია, წარმოდგენილ ნიმუშებზე დასკვნების მიცემა და  
დამტკიცებული სათამაშოების ნიმუშების დანერგვაზე ზედამხედვე-  
ლობა ეკისრება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკო-  
ლამდელი აღზრდის განყოფილებას, ხოლო სათამაშოების ნიმუშე-  
ბის მიღება, მისი აღრიცხვა და კომისიის სხდომების მომზადება  
სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური კომისიის პასუხისმგებელ  
მდივანს.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა  
საქართველოს სსრ განათლების  
სამინისტროს მიერ  
1965 წლის 16 აპრილი

## ი ნ ს ტ რ უ კ ც ი ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებული  
სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური კომისიისათვის სათამაშოების  
ნიმუშების წარდგენის, განხილვის და დამტკიცების წესის  
შესახებ

1. სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური კომისია იხილავს და  
ამტკიცებს ყველა ასაკის ბავშვის, ყველა ტიპის და უწყების საბავ-  
შვო დაწესებულებებისათვის ყველა სახის თამაშს, სათამაშოსა და  
სათამაშო მოწყობილობას.

2. სამხატვრო-ტექნიკურ კომისიას დასამტკიცებლად წარედ-  
გინება სათამაშოს სასაქონლო ნიმუში დამტკიცებულ ეტალონთან  
ერთად (ან მისი დუბლიკატი შესადარებლად). სასაქონლო ნიმუშე-  
ბის დამტკიცებასთან ერთად, სამხატვრო ტექნიკური კომისია ამ-  
ტკიცებს აგრეთვე სათამაშოს ტექნიკურ პირობებს (აღწერილობას).

3. ყველა მიღებული ნიმუში და ტექნიკური პირობები (აღწე-  
რილობა) რეგისტრაციაში ტარდება სპეციალურ ჟურნალში სათა-  
ნადო ნომრის მიკუთვნებით და ნიმუშზე ამ ნომრის დასმით.

4. სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური კომისიის სხდომები  
ინიშნება ნიმუშების დაგროვების მიხედვით (ნიმუშების განხილვის  
ვადა არ უნდა აღემატებოდეს 20 დღეს).

5. სამხატვრო-ტექნიკური კომისია იძლევა განხილული ნიმუ-  
შების ღირსების შეფასებას, შემდეგი სახის ფორმულირებებით:

ა) „დამტკიცდეს“—როგორც ხარისხიანი ნიმუში, რომელიც  
საფასებით შეესაბამება დამტკიცებულ ეტალონს;

ბ) „დამტკიცდეს პირობით“—როგორც ხარისხიანი ნიმუში,  
რომელიც მოითხოვს მცირეოდენ შესწორებას;



გ) „დამატებით დამუშავდეს“ როგორც ნიმუში, რომელშიც გადახრაა დამტკიცებული ეტალონიდან (ოქმში უნდა აღინიშნოს სახელდობრ რისი გასწორებაა საჭირო, რა უნდა დამუშავდეს).

დ) „უარი ეთქვას“, ისეთ ნიმუშს, რომელიც არ პასუხობს პედაგოგიურ და სანიტარულ მოთხოვნებს, არ შეესაბამება ნიმუშს —(ეტალონს) ოქმში ზუსტად უნდა აღინიშნოს, რატომ არ იქნა მიღებული ნიმუში).

6. დამტკიცებული ნიმუშები იბლომბება და შესანახავად უბრუნდება იმ საწარმოებს, რომლებმაც ისინი წარმოადგინეს.

**შენიშვნა:** საბლომბავის უქონლობის შემთხვევაში შესაძლებელია ეტალონების გაფორმება ბეჭდის დასმითა და ხელის მოწერით იმ ბლანკზე, რომელიც დაბლომბვისათვის დაამზადეს სავაჭრო ორგანიზაციებმა.

7. ტექნიკური პირობები (აღწერილობა) სათამაშოების დამტკიცებულ ნიმუშებზე ფორმდება სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური კომისიის თავმჯდომარის ხელის მოწერით, ბეჭდის დასმით და ინახება საწარმოში, სავაჭრო ორგანიზაციებში და სამხატვრო ტექნიკურ კომისიაში.

• საწარმოებს (ავტორებს), რომლებმაც დასამტკიცებლად წარმოადგენს სათამაშოების ნიმუშები ეძლევათ ამონაწერები სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური კომისიის ოქმიდან.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965  
წლის 21 აპრილის ბრძანება № 423

რესპუბლიკური ბიუჯეტის 1964 წლის ანგარიშის  
დამტკიცების შესახებ

ფაქტიური გასავლის საერთო ჯამი რესპუბლიკური ბიუჯეტით 1964 წელს განისაზღვრება 5.439.500 მანეთით ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.470.600 მანეთისა.

ზოგიერთი დაწესებულების ხელმძღვანელთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობისა და გეგმით დასახული ყველა ღონისძიების შესასრულებლად სახსრების დროულად ათვისებისათვის ზომების მიუღებლობის შედეგად 1964 წელს გახსნილი კრედიტების მიხედვით ათვისებული დარჩა 80.700 მანეთი.

არ იყო ათვისებული რემონტისათვის ასიგნებული თანხებიდან—15,6 ათასი მან., რბილი ინვენტარის შესაძენად—15,2 ათასი მან. და მაგარი ინვენტარის—17,9 ათასი მან. შენობების კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი თანხებიდან ვერ აითვისეს: გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა ახალციხის სკოლა-ინტერნატმა (დირექტორი ვ. ტაბატაძე)—4500 მან. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა—1600 მან., გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა ზედარგანის სკოლა-ინტერნატმა (დირ. ა. ბაზლაძე) — 600 მან. და სხვ.

ზოგიერთ დაწესებულებაში დაშვებულია უყაირათობა როგორც რბილი, ისე მაგარი ინვენტარის მოვლა-დაცვის საქმეში, რის გამო აღვილი აქვს ინვენტარის ამორტიზაციას ვადამდე, კერძოდ, გლდანის № 2 სკოლა-ინტერნატში. ამასთანავე რიგი დაწესებულების ხელმძღვანელებმა დაუშვეს საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევა. სამეურნეო ხარჯებში გადახარჯვა მოახდინეს—გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა თბილისის № 1 სკოლა-ინტერნატმა—700 მან. (დირ. მ. დუდუჩავა), ყრუ-მუნჯ ბავშვთა თბილისის სკოლა-ინტერნატმა 8.000 (დირ. ხეთერელი), გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა

ასპინძის სკოლა-ინტერნატმა—1700 მან. (ღირ. ვ ალელიშვილი)  
მაგარი ინვენტარის შექმნაში ტაშისკარის სკოლა-ინტერნატმა გა-  
დახარჯა 1900 მან. ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული დაღმბითა  
ტორული დავალიანება, რომელიც 25.200 მან. აღწევს, კერძოდ  
ინტერნატებში ბავშვთა შენახვისათვის -5.200 მანეთს.

ზემოაღნიშნული დარღვევების აღმოფხვრის მიზნით,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დავალოს დაწესებულებათა ხელმძღვანელებს:

ა) მიიღონ გადამჭრელი ზომები და არ დაუშვან რაიმე საბი-  
უჯეტო-ფინანსური დარღვევა, უმოკლეს ვადაში მოახდინონ მთე-  
ლი დებიტორული დავალიანების ლიკვიდირება;

ბ) უზრუნველყონ სახსრების მთლიანად ათვისება და ბიუჯე-  
ტით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების შესრულება;

2. სპეციალური სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) უზრუნველყონ მოსწავლეთა კონტინენტის დაკომპლექტე-  
ბა დამტკიცებული გეგმის სრული შესაბამისობით;

ბ) უზრუნველყონ ბავშვთა კვება დამტკიცებული ნორმებისა  
და ასორტიმენტის მიხედვით;

გ) მიიღონ ზომები მაგარი და რბილი ინვენტარის დაცვა შე-  
ნახვისათვის და არ დაუშვან მისი ამორტიზაცია ვადამდე.

3. საგვეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე):


ა) მიმდინარე წლის მეორე კვარტლისათვის სახსრების გა-  
მოყოფისას ქვემდებარე ორგანიზაციებს ჩაუთვალოს დებიტორული  
დავალიანების მთელი თანხა და მასალების ზენორმატიული ნარ-  
ჩენები;

ბ) შენობათა კაპიტალური რემონტისათვის თანხების გამო-  
ყოფა ცალკეული დაწესებულებების მიხედვით მოახდინოს სათანა-  
დო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამტკიცების  
შემდეგ.

4. ცენტრალურმა ბუხნალტერიამ (ამხ. დ. ყარაშვილი):

ჩამოწერილი მაგარი და რბილი ინვენტარის დეფორმირები-  
სას შეამოწმოს მისი უვარგისობის სინამდვილე.

5. გაფრთხილებულ იქნან ყველა დაწესებულების დირექტო-  
რები და ბუღალტრები, რომ მომავალში საფინანსო დისციპლინის  
დარღვევის დაშვებისათვის და მოწყობილობისა და ინვენტარის  
შოფლა-დაცვის საქმეში უყარათობისათვის ისინი მკაცრად დაის-  
ჯებიან.

1964 წლის ანგარიში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური ბიუჯეტის მიხედვით დამტკიცდეს.   
საფუძველი: განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 16 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

---



## ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР № 423 ОТ 21-ГО АПРЕЛЯ 1965 ГОДА

### Об утверждении отчета по республиканскому бюджету за 1964 год

Общая сумма фактических расходов по республиканскому бюджету в 1964 году определялась в 5.439.500 руб., при плане в 5.470.600 руб.

В результате неудовлетворительной работы руководителей некоторых учреждений и непринятия мер к своевременному освоению средств для выполнения всех намеченных планом мероприятий, в 1964 году не было освоено средств против открытых кредитов 80.700 руб.

Не были освоены средства в части ассигнований на капремонт—15,6 тыс. руб., на приобретение мягкого инвентаря—15,2 тыс. рублей и жесткого—17,9 тыс. руб.

Средства по капитальному ремонту зданий не освоили: Ахалцихская школа-интернат умственно-отсталых детей (дир. В. Табагадзе)—4500 руб., Институт усовершенствования учителей—1600 руб., Зедарганская школа-интернат умственно-отсталых детей (дир. Базгадзе А.)—600 руб. и др.

В некоторых учреждениях допущено безхозяйственное отношение как к мягкому, так и к жесткому инвентарю, в результате чего имеет место его досрочная амортизация, в частности по Глданской № 2 школе-интернат. Наряду с этим руководители ряда учреждений допустили нарушения бюджетной дисциплины, перерасходовали средства—по хозрасходам Тбилисская № 1 школа-интернат умственно-отсталых детей 8.000 руб. (директор Хетерели), Аспиндзская школа-интернат умственно-отсталых детей—1700 руб. (дир. Алелишвили В.) и по приобретению твердого инвентаря Ташискарская школа-интернат—1900 руб.

Все еще не ликвидирована дебиторская задолженность, дос-

тигающая 25.200 руб., при этом за содержание детей в интернатах — 5.200 руб.

В целях изжития всех указанных выше нарушений,

Приказываю

1. Обязать руководство учреждений:

а) принять решительные меры к недопущению каких-либо бюджетно-финансовых нарушений и в кратчайший срок ликвидировать всю дебиторскую задолженность;

б) обеспечить полное освоение средств и выполнение всех мероприятий, предусмотренных бюджетом;

2. Директорам специальных школ-интернатов:

а) обеспечить набор детей в спецшколы в полном соответствии с утвержденным планом;

б) обеспечить детей нормой питания согласно утвержденному количеству и ассортименту;

в) принять меры к сохранности жесткого и мягкого инвентаря, не допуская преждевременной его амортизации.

3. Планово-финансовому Управлению (тов. Квачадзе А. Ф.).

а) при ассигновании средств на 2-ой квартал текущего года зачесть подведомственным организациям всю сумму дебиторской задолженности и сверхнормативные остатки материалов;

б) выделение сумм по капитальному ремонту зданий по отдельным учреждениям производить лишь после утверждения соответствующей проектно-сметной документации.

4. Центральной бухгалтерии (тов. Карашвили Д. Г.):

при деформировании списанного жесткого и мягкого инвентаря проверить действительность его негодности.

5. Предупредить директоров и бухгалтеров всех учреждений, что за допущение в дальнейшем нарушений финансовой дисциплины и за безхозяйственное отношение к оборудованию и инвентарю они будут привлечены к строгой ответственности.

Отчет за 1964 год по республиканскому бюджету Министерства просвещения Грузинской ССР утвердить.

Основание: постановление коллегии Министерства просвещения от 16 апреля 1965 г.

Министр просвещения

Грузинской ССР Т. Лашкарашвили

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 22 აპრილის ბრძანება № 429

ქ. თბილისისა და რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის სკოლებში მოხწავლეთა ეხთეტიკური აღზრდის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 22 იანვრის № 72 ბრძანების—მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ—შესასრულებლად ქალაქ თბილისისა და რესპუბლიკის რიგ რაიონებში ტარდება გარკვეული მუშაობა.

რესპუბლიკის უმრავლეს რვაწლიან და საშუალო სკოლებთან შექმნილია მოსწავლეთა მომღერალთა გუნდები. ამ მხრივ კარგ მუშაობას ეწევიან თბილისის 39-ე, 37-ე, 36-ე, მე-5, მე-4 და სხვა სკოლები. ამ სკოლებში სიმღერა-მუსიკას დაწყებითი კლასებიდანვე სპეციალისტი მასწავლებლები ასწავლიან. ასევე კარგადაა დაყენებული სიმღერა-მუსიკის სწავლებისა და საგუნდო მუშაობის საქმე მცხეთის რაიონის ძველი ქანდის საშუალო და ჩარდახის რვაწლიან სკოლებში. ძველი ქანდის საშუალო სკოლაში გარდა მომღერალთა გუნდისა მუშაობს მოსწავლეთა საბალეტო ჯგუფი (ხელმძღვანელი გერმანული ენის მასწავლებელი გ. ნაროუშვილი), სიმებიანი ორკესტრი და სხვა.

მუსიკალური ჯგუფები გახსნილია თბილისის ოთხმოც, თელავის რაიონის შვიდ, გარდაბნის რაიონის ოთხ სკოლაში. აღნიშნულ სკოლებში მუსიკალურ ჯგუფებს გამოყოფილი აქვთ სათანადო სა-მუშაო ოთახები, უზრუნველყოფილი არიან საკრავებით, ჰყავთ კვალიფიციური პედაგოგები;

სახვითი ხელოვნების სწავლების საქმეშიც მიღწეულია ერთგვარი წარმატებები. ამ მხრივ კარგად მუშაობენ: თბილისის I (მასწავლებელი მ. პოლოლიკაშვილი), მე-4 (მასწავლებელი ა. დემიანოვა), მე-19 (მასწავლებელი რ. ჯავრიშვილი), 30-ე (მასწავლებელი ი. ლალიძე), მე-40 (მასწავლებელი ა. სარქისიანი), 43-ე (მასწავლებ-

ბელი (გ. ზურაბოვი) სკოლები; თბილისის მე-14, 47-ე და ზოგჯერ სხვა სკოლაში ტრადიციად იქცა. მოძრავი გამოფენების მოწყობა რაც ხელს უწყობს მოსწავლის მხატვრული გემოვნების განვითარებას, ამ დარგისადმი ინტერესის გაღვივებას. 43-ე საშ. სკოლის მოსწავლეები აწყობენ თემატიკურ გამოფენებს მაგ. „ჩემი საყვარელი წიგნის ილუსტრაციები“. გამოფენილია მოსწავლეების მიერ შესრულებული ილუსტრაციები მ. ჯავახიშვილის, ვაჟა-ფშაველას, სულხან-საბას, მარიჯანის, პუშკინის, კრილოვის ნაწარმოებების მიხედვით. ეს ღონისძიებები დახმარებას უწევს მოსწავლეებს შემოქმედებითი უნარის განვითარებაში. რიგ სკოლებში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მზადება სახვითი ხელოვნების რესპუბლიკური გამოფენისათვის, რომელსაც განათლების სამინისტრო აწყობს.

სკოლებში ჩამოყალიბებულია ლიტერატურული, დრამატიული და მხატვრული კითხვის წრეები, ეწყობა მოხსენებების, რეფერატების განხილვა, დისპუტები, ლიტერატურული გმირების გასამართლებები, შეხვედრები მწერლებთან, მხატვრული სიტყვის ოსტატებთან, დრამატურგებთან.

საინტერესო და ნაყოფიერ მუშაობას ატარებს თბილისის მე-60 საშ. სკოლის ბიბლიოთეკასთან შექმნილი მხატვრული კითხვის წრე. პირველკლასელებთან გამოთქმითი კითხვის დანერგვაში კარგ შედეგს აღწევს 47-ე საშ. სკოლის მასწავლებელი ეთერ ჯამასაშვილი. ასევე კარგ მუშაობას ეწევიან თბილისის 1, მე-5, 57-ე, მცხეთის რაიონის ძველი ქანდისა და ჩარდახის სკოლები.

ამასთან ერთად მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაში არსებობს სერიოზული ნაკლოვანებანი. მოსწავლეების მომღერალთა გუნდების შეცადინეობებზე არ არის დაცული სწორი მუშაობის ფორმები, რეპერტუარი ღარიბი და ერთფეროვანია, სწავლების ხერხები უფერული. ზოგ სკოლაში არ იცავენ გუნდთან მუშაობის სადებულეზო ნორმებს, დაბალია გუნდების შესრულების კულტურა; ზოგჯერ სკოლების გუნდები გადატვირთულია სხვადასხვა ღონისძიებებზე საკონცერტო გამოსვლებით.

მცხეთის რაიონის არცერთ სკოლაში ჯერ კიდევ არაა გახსნილი მუსიკალური ჯგუფები, რაიონის თითქმის არცერთ სკოლას არ გააჩნია ფორტეპიანო და სხვა მუსიკალური საკრავები.

მუსიკალური ჯგუფების მუშაობას ხელს უშლის სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოების, მეთოდური ლიტერატურის



უქონლობა. არ ტარდება გეგმაზომიერად მუსიკალური ჯგუფების  
მასწავლებელთათვის სარაიონო და საქალაქო მეთოდური შეკრებე-  
ბი, ლექცია-მოხსენებები, გამოცდილების გაზიარება და სხვა.

რიგ სკოლებში სახვითი ხელოვნების სწავლებას არ ექცევა  
სათანადო ყურადღება. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომა-  
რობაა თბილისის 92-ე (მასწავლებელი ა. აზარიანი), მე-3 (მასწავ-  
ლებელი გ. დვალიშვილი), მე-10 (მასწავლებელი გ. კუპრაძე), 101-ე  
(მასწავლებელი ხელაშვილი), მცხეთის რაიონის მუხრანის საშუალო  
სკოლებში. აღნიშნულ სკოლებში ვაკვეთილები ტარდება უხარის-  
ხოდ, მოსწავლეების დიდ ნაწილს არ გააჩნია სახატავი რვეულები,  
ფანქრები და სხვა აუცილებელი მასალები, არ გადიან პროგრამულ  
მასალას, დაბალ დონეზე დგას საწრეო მუშაობა, არ ეწყობა გამო-  
ფენები, შეხვედრები გამოჩენილ ოსტატებთან და სხვა.

რიგ სკოლებში სახვითი ხელოვნების მასწავლებლებად მუშა-  
ობენ არასპეციალისტები. მცხეთის რაიონის სკოლებში მომუშავე  
ხატვისა და სიმღერის 47 მასწავლებლიდან მხოლოდ რვას აქვს  
სპეციალური საშუალო განათლება. მუხრანის საშ. სკოლაში სპე-  
ციალისტი მასწავლებლის უყოლობის გამო მეორე მეოთხედიდან  
ხატვა არ ისწავლება!

ნაკლოვანებები ახასიათებს მხატვრული კითხვის, ლიტერატუ-  
რულ-დრამატიული წრეების მუშაობასაც. ზოგიერთი სკოლის მხატ-  
ვრული კითხვის წრეს საფუძვლად არ უდევს სასკოლო პროგრამუ-  
ლი მასალის გამდიდრება და გაღრმავება, სწორი გამომეტყველე-  
ბითი კითხვის კულტურის დანერგვა, მხატვრული და მეცნიერული  
ლიტერატურის პროპაგანდა. ამ მხრივ სუსტად მუშაობენ მცხეთის  
რაიონის სოფლების მუხრანისა და გალაგნის საშუალო სკოლები.

სკოლების ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი ღარიბია საბავშ-  
ვო ლიტერატურით.

განათლების განყოფილებები და სკოლების დირექტორები სა-  
თანადოდ ვერ ხელმძღვანელობენ მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრ-  
დას, ჯერ კიდევ არ ატარებენ ქმედით ღონისძიებებს ამ საქმეში  
არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. განათლების განყოფილებათა გამგეობა:

ა) გააძლიერონ სკოლებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება  
მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის დარგში, მიიღონ ზომე-  
ბი სახვითი ხელოვნებისა და სიმღერა-მუსიკის კლასკაბინეტების

მოსაწყობად; სისტემატური კონტროლი გაუწიონ ესთეტიკური ალზრდის საგნების სწავლებას.

ბ) გარდაქმნან ესთეტიკური ალზრდის ადგილობრივი სექციების მუშაობა იმ მიმართებით, რომ სექციებში სისტემატურად ტარდებოდეს მეთოდური მუშაობა და მასობრივი ღონისძიება;

გ) სისტემატურად იზრუნონ მხატვრული ალზრდის მასწავლებელთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

დ) მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული საშუალებები სკოლებში მუსიკალური ჯგუფების გახსნისა და მათი მუშაობის სათანადოდ წარმართვისათვის.

ე) ჩაატარონ კონკურსები სკოლების შენობებისა და კარმიდამოების უკეთ გაფორმებაზე.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია):

ა) სისტემატური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს განათლების ადგილობრივ ორგანოებსა და სკოლებს მოსწავლეთა მხატვრული ალზრდის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის;

ბ) თბილისის განათლების განყოფილებასთან ერთად შეარჩიოს ორი საშუალო სკოლა ხატვისა და სიმღერა-მუსიკაში გაძლიერებული სწავლების შემოღებისათვის;

გ) თვალყური ადევნოს მოსწავლეთა თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის მზადების მიმდინარეობას.

3. მხატვრული ალზრდის რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ჯ. მუჯირი):

ა) მიიღოს ზომები მუსიკალური ჯგუფებისათვის პროგრამების შესადგენად და გამოსაცემად ახალი სასწავლო წლისათვის;

ბ) შეადგინოს საგუნდო საოლიმპიადო სიმღერების კრებული და უზრუნველყოს მისი დაბეჭდვა მიმდინარე წელს;

გ) უზრუნველყოს მოსწავლეთა სახვითი ხელოვნების რესპუბლიკური გამოფენის მაღალ დონეზე მოწყობა მიმდინარე სასწავლო წლის მასისში.

4. კადრების განყ-ბამ (ამხ. ი. კვაჭაძე) მიმდინარე სასწავლო წლის დასრულებისას გადასინჯოს მხატვრული ალზრდის საგნების მასწავლებელთა შემადგენლობა და გაატაროს ღონისძიებანი სკოლების კვალიფიციური მასწავლებლებით დასაკომპლექტებლად.

5. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ ამხ. ს. არველაძე):

ა) უზრუნველყოს ახალი სასწავლო წლისათვის სახვითი ხე-  
ლოვნების კაბინეტებისათვის საჭირო დგამ-ხელსაწყოების (მოღბერ-  
ტების, სახატავი დაფებისა და სხვა) დამზადება და დაკვეთების  
მიხედვით განაწილება რაიონებს შორის.

ბ) გაითვალისწინოს მცხეთის რაიონისათვის პიანინოებისა და  
აუცილებელი მუსიკალური მოწყობილობის გამოყოფა.

6. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) ა/წ 30  
აპრილამდე წარმოადგინოს წინადადებანი თბილისის პიონერთა  
და მოსწავლეთა პარკის მხატვრული აღზრდის სახლად რეორგანი-  
ზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 28 აპრილის ბრძანება № 456

რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონიდან წარმოდგენილი სტატისტიკური ანგარიშების შემოწმების შედეგების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ უკანასკნელ პერიოდში სამინისტროს მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად, საგრძნობლად გაუმჯობესდა განათლების ადგილობრივი ორგანოებიდან სტატისტიკური ანგარიშების წარმოდგენის საქმე და მათი ხარისხიც.

მიუხედავად ამისა, სტატისტიკური აღრიცხვა-ანგარიშების საქმე რესპუბლიკის ბევრ განათლების განყოფილებასა და სკოლაში კვლავ დაბალ დონეზე დგას. განათლების განყოფილებათა გამგეების ერთი ნაწილი აგვიანებს ანგარიშების წარმოდგენას, ხოლო წარმოდგენილი ანგარიშების დიდი ნაწილი შეიცავს შეცდომებს და ხელმეორედ დამუშავებას საჭიროებს.

სტატანგარიშების წარმოდგენას სისტემატურად აგვიანებენ: თეთრიწყაროს, ახალქალაქის, გორის, მიაკოვსკის და ზოგიერთი სხვა რაიონის განათლების განყოფილებები. თეთრიწყაროს და ახალქალაქის რაიონებმა უკანასკნელ პერიოდში წარმოდგენილი 8 ანგარიშიდან 4 ანგარიში (7—22 დღის) დაგვიანებით წარმოადგინეს.

თეთრიწყაროს რაიონმა ფორ. № 76-ში შეუვსებელი დატოვა მაჩვენებელი კლასკომპლექტების რაოდენობის შესახებ, მაშინ, როცა ამ რაიონში 448 კლასკომპლექტია. შეცდომებით წარმოადგინეს ანგარიში აგრეთვე მიაკოვსკის, გურჯაანის, გორის, ორჯონიკიძის განათლების განყოფილებებმა. თეთრიწყაროს რაიონმა რაიონულ ნაკრებ ანგარიშში (ფორ. 76—ა) მოსწავლეთა რაოდენობა 7 ბავშვით ნაკლები აჩვენა, სიღნაღის რაიონმა—25 ბავშვით და ა. შ.

ზოგიერთმა რაიონმა არასწორად უჩვენა შეიღწლიანი ბავშვების რაოდენობა. მაგალითად, გორის რაიონმა უჩვენა—948 ბავშვით ნაკლები, თეთრიწყაროს—63, ახალქალაქის—244, სიღნაღის



—158 ბავშვით ნაკლები და ა. შ., რის შედეგადაც რესპუბლიკურ რი ნაკრები ანგარიში არ დაემთხვა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში რაიონსპექტორების მიერ წარდგენილ ანგარიშებს. თეთრიწყაროს, ახალქალაქისა და სიღნაღის რაიონების მთელმა რიგმა სკოლებმა არ უჩვენეს ფორ. № ა—4-ში სწავლების ენა.

არასწორი ანგარიში წარმოადგინეს საბავშვო ბაღებზე (ფორ. № 78) ახმეტის, სიღნაღისა და ახალქალაქის რაიონებმა. ახმეტის რაიონმა, პირველადი ფორმების არასწორად შეჯამების შედეგად ნაერთ ანგარიშს დააკლო 167 ბავშვი, მაშინ, როცა ამ რაიონის საბავშვო ბაღებში სულ 501 ბავშვია.

სრულიად უპასუხისმგებლოდ შეავსო აღნიშნული ფორმა ახალქალაქის რაიონმა, რის გამო სტატგანყოფილება იძულებული გახდა ხელახლა გადაემუშავებინა ეს ანგარიში.

ზემოაღნიშნული მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ განათლების განყოფილებათა გამგეების ერთი ნაწილი, ჯერ კიდევ არ იჩენს პასუხისმგებლობას სტატისტიკური ანგარიშების ხარისხიანად შედგენისა და მათი დროულად წარმოდგენის საქმეში.

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დევალოს თეთრიწყაროს, ახალქალაქის, ახმეტის, გორის და სიღნაღის რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებს შეამოწმონ სკოლებსა და სხვა მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში სტატისტიკური აღრიცხვის მდგომარეობა. განიხილონ განათლების საბჭოს სხდომებზე და დასახონ ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ხოლო შედეგების შესახებ მოახსენონ სამინისტროს მ/წლის 25 მაისამდე.

2. თეთრიწყაროს, ახალქალაქის, სიღნაღის, ახმეტის და გორის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს ამხ. ამხ. ქ. ცხვედიანს, კ. კარახანიანს, მ. დალაქიშვილს, ა. შველაშვილს და ა. ჩხეიძეს სტატანგარიშების დაგვიანებით და უხარისხოდ წარმოდგენისათვის მიეთითოთ და გაფრთხილებულ იქნან, რომ თუ მომავალში არ დაამყარებენ წესრიგს ამ საქმეში მათ დაეღებათ მკაცრი სასჯელი.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა უახლოეს დროში განიხილონ

კოლეგიისა და საბჭოს სხდომებზე სტატისტიკური ანგარიშგების  
საკითხი და მიიღონ ყველა ზომა ამ საქმეში არსებული ნაკლებ-  
ნებების აღმოსაფხვრელად.

4. სტატისტიკური განყოფილების უფროსმა (ჯ. სვანიძე) თვალ-  
ყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

---

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965  
წლის 30 აპრილის ბრძანება № 468**

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების მოხწავ-  
ლეთა სპორტულ-მასობრივ ღონისძიებების 1965 წლის კალენდა-  
რის დამტკიცების შესახებ**

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. წარმოდგენილი სპორტულ-მასობრივ ღონისძიებათა 1965 წლის კალენდარი დამტკიცდეს.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მი-  
ნისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და  
რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) 1965 წლის ძირითად სპორტულ-მასობრივ ღონისძიებათა  
კალენდარი დაიყვანონ სკოლამდე და სკოლის გარეშე დაწესებულე-  
ბამდე;

ბ) შეჯიბრებები ჩატარონ მაღალხარისხოვნად, კალენდარით  
გათვალისწინებულ ვადებში;

ვ. დაევალოს ფიზიკური აღზრდის მეთოდურ კაბინეტს (ს. მერ-  
კვილაძე) კონტროლი გაუწიოს დაწესებულ ვადებში შეჯიბრებების  
ხარისხიანად ჩატარებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
1965 წლის 16 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპორტულ-მასობრივ  
ლონისძიებათა 1965 წლის

კალენდარი

№ ს. რიგ.	ლონისძიებათა დასახელება	ჩატარების თარიღი და ადგილი	მონაწილე ორგანი- ზაცია
1	2	3	4
	კომპლექსური ლონისძიებები		
1	მოსწავლეთა რესპ. სპარტაკიადა 18 სახე- ში: აკრობატიკა, კალათბურთი, ფრენ- ბურთი, ველოსპორტი, სპორტული ტან- ვარჯიში, წყალბურთი, ნიჩბოსნობა (ბაი- დარეზზე), მძლეოსნობა, ცურვა, წყალ- ში ხტომა, ხელბურთი, ჩოგბურთი, მა- გიდის ჩოგბურთი, ფარიკაობა, ფეხ- ბურთი, სროლა, კიდრაკი, მხ. ტან- ვარჯიში, შაში . . . . .	5—20 ივნისი თბილისი (სხვა ქალაქე- ბი დებულე- ბის მიხედვით)	ავტონომიური რეს- პუბლიკების, ავტო- ნომიური ოლქის, ქა- ლაქებისა და რაიონ- ების განათლების განყოფილებები
2	მოსწავლეთა საკავშირო IX სპარტაკია- დაში მონაწილეობა: აკრობატიკაში, კალათბურთში, ველოსპორტში, ფრენ- ბურთში, სპორტულ ტანვარჯიშში, ბაი- დარულ ნიჩბოსნობაში, მძლეოსნობაში, ცურვაში, ხელბურთში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, წყალში ხტომაში, ფეხბურთში, სროლაში . . . . .	14—26 ივლისი მინსკი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
3	კიდრაკში . . . . .  აკრობატიკა	25—28 მარტი ხარკოვი	„
1	უძლიერეს აკრობატთა რესპუბლიკური პირადი შეჯიბრება . . . . .	6—10 იანვარი თბილისი	საუკეთესო აკრობა- ტები სიის მიხედვით





1	2	3	4
2	რესპუბლიკის ნაქრები გუნდის კანდიდატების საკონტროლო შეჯიბრება . . . . .	25—28 მარტი თბილისი	ნაქრები გუნდის კანდიდატები
3	რესპუბლიკის პირველობა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით . . . . .	ივნისი თბილისი	ასსრ, ა. ო. ქალაქებისა და რაიონების ნაქრები გუნდები
4	მოსწავლეთა IX საკავშირო სპარტაკიადის ში მონაწილეობა . . . . . <p style="text-align: center;">კ ა ლ ა თ ბ უ რ თ ი</p>	21—26 ივლისი მინსკი	საქ. სსრ განათლების სამინისტროს ნაქრები გუნდი
1	სსრკ ზონალურ პირველობაზე მონაწილეობის მისაღებად შესარჩევი შეჯიბრებები . . . . .	დეკემბერი ადგილებზე	„
2	სსრკ ზონალურ პირველობაში მონაწილეობა . . . . .	3—9 იანვარი ერევანი და ტარტუ	საქ. სსრ განათლების სამინისტროს სპორტული სკოლები
3	საქართველოს სსრ ოთხ ქალაქთა შორის შეჯიბრება (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი) . . . . .	24—28 მარტი თბილისი	ქალაქების ნაქრები გუნდები
4	სსრკ ფინალში მონაწილეობა . . . . .	23—31 მარტი მოსკოვი	განათლების სამინისტროს სპორტული სკოლები
5	მეორე ჯგუფის ქალაქებისა და რაიონების შეჯიბრება სპარტაკიადის პროგრამით . . . . .	24—30 მარტი რუსთავი	ქალაქებისა და რაიონების ნაქრები გუნდები
6	საქალაქთა შორისო შეჯიბრება თბილისი—ქივი—რიგა . . . . .	აპრილი თბილისი	განათლების სამინისტროს ნაქრები გუნდები
7	მეორე ჯგუფის ქალაქებისა და რაიონების შეჯიბრება ზონების მიხედვით . . . . .	მარტი ზონებში	ქალაქებისა და რაიონების ნაქრები გუნდები
8	რესპუბლიკის პირველობა მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით . . . . .	ივნისი თბილისი	ასსრ, ა/ო, ქალაქებისა და რაიონების ნაქრები გუნდები
9	მოსწავლეთა IX საკავშირო სპარტაკიადის ში მონაწილეობა . . . . .	14—26 ივლისი მინსკი	განათლების სამინისტროს ნაქრები გუნდები
10	კალათბურთში ტექნიკის ელემენტებში შეჯიბრების ჩატარება ნიშანზე „მომავალი ოლიმპიელი“ . . . . .	ნოემბერი თბილისი	ქალაქებში და რაიონებში გამარჯვებულები
11	საშემოდგომო პირველობა უძლიერეს გუნდებს შორის . . . . . <p style="text-align: center;">კ რ ი ვ ი</p>	ნოემბერი გორი	„
1	მოსწავლეთა პირად პირველობაზე შეჯიბრება . . . . .	თებერვალი ბათუმი	ბავშვთა სპორტული სკოლები

1	2	3	4
<b>ბ ა დ მ ი ნ ტ ო ნ ი</b>			
1	მოსწავლეთა პირად პირველობაზე შეჯიბრი	5—9 ნოემბერი თბილისი	ქალაქებში და რაიონებში გამარჯვებულნი
<b>ქ ა რ თ უ ლ ი კ ი დ ა ო ბ ა</b>			
1	მოსწავლეთა პირად პირველობაზე შეჯიბრება	5—9 ნოემბერი სავარჯიშო	"
<b>ვ ე ლ ო - ს პ ო რ ტ ი</b>			
1	ნაკრები გუნდის კანდიდატების სავარჯიშო შეჯიბრება	24—29 მარტი ბათუმი	"
2	რესპუბლიკის პირველობა სპარტაკიადის პროგრამით	ივნისი მცხეთა	ასსრ, ა/ო, ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები
3	მოსწავლეთა საკავშირო IX სპარტაკიადის მონაწილეობა	22—26 ივლისი მინსკი	განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდები
<b>ფ რ ე ნ ბ უ რ თ ი</b>			
1	მეორე ჯგუფის ქალაქების შეჯიბრება	3—8 ივლისი	რაიონებისა და ქალაქების ნაკრები გუნდები
2	სსრკ პირველობაზე ზონალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად შეჯიბრების ჩატარება	ნოემბერი, დეკემბერი ადგილებზე	სპორტული სკოლების გუნდები
3	სსრკ პირველობაზე ზონალურ შეჯიბრებაში მონაწილეობა (კლასი „ა“, დაბად. 1947—48 წ.)	4—10 იანვარი როსტოვი (გოგონების) აშხაბადი (ქაბუკების)	ქალაქის ნაკრები გუნდები
4	სსრკ ფინალში მონაწილეობა	23 მარტი 1 აპრილი დნეპროპეტროვსკი, ლუგანსკი	განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდები
5	მეორე ჯგუფის ქალაქების და რაიონების რესპუბლიკური პირველობა (ზონების მიხედვით)	მარტი	ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები

1	2	3	4
6	მეორე კვლვის ქალაქების და რაიონების საფინანსო პირველობა	25—30 მარტი ფოთი	ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები
7	საქალაქთაშორისო შეხვედრა კიევი—თბილისი	ივნისი თბილისი	განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდი
8	მოსწავლეთა საკავშირო IX სპარტაკიადაში მონაწილეობა	14—26 ივლისი მინსკი	„
9	რესპუბლიკური პირველობა მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით	ივნისი თბილისი	ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები
წ ყ ა ლ ბ უ რ თ ი			
1	საკავშირო შეჯიბრებისათვის შერჩევითი შეჯიბრებებში მონაწილეობა	იანვარი ადგილებზე	სპორტული სკოლების გუნდები
2	საკავშირო ქაბუტა ზამთრის შეჯიბრებაში მონაწილეობა	24—28 მარტი სოკა	თბილისის სპორტული გუნდი
3	რესპუბლიკის პირველობა სპარტაკიადის პროგრამით	ივნისი თბილისი	ნაკრები გუნდები
4	საკავშირო ნახევარდღანაღურ შეჯიბრებაში მონაწილეობა	10—29 აგვისტო მინსკი	„
5	ქაბუტა შორის საკავშირო ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობა	30 ოქტომბ. 6 ნოემბერი ლენინგრადი	„
ს ს ო რ ტ უ ლ ი ტ ა ნ ვ ა რ ჯ ი შ ი			
1	უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა სასწავლო საწვრთნელი შეკრება	1—10 იანვარი სოხუმი	კანდიდატების სიის მიხედვით
2	საქართველოს ოლკ ცენტრალური კომიტეტის ჯილდოზე შეჯიბრებაში მონაწილეობა	24—29 მარტი თბილისი	განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდი
3	რესპუბლიკის პირველობა სპარტაკიადის პროგრამით	ივნისი თბილისი	ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები
4	მოსწავლეთა საკავშირო IX სპარტაკიადაში მონაწილეობა	20—26 ივლისი, მინსკი	განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდი
მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ტ ა ნ ვ ა რ ჯ ი შ ი			
1	უძლიერეს მონაწილეთა სასწავლო-საწვრთნელი შეკრება და პირადი შეჯიბრება	1—10 იანვარი, თბილისი	კანდიდატების სიის მიხედვით



1	2	3	4
2	ნაკრები გუნდის კანდიდატთა საკონტროლო შეჯიბრება . . . . .	25—30 მარტი თბილისი	კანდიდატების სიის მიხედვით
3	რესპუბლიკური პირველობა სპარტაკიადის პროგრამით . . . . .	ივნისი თბილისი	ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები
4	მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე მონაწილეობა . . . . .	20—26 ივლისი მინსკი	განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდი
ნი ჩ ბ ო ს ნ ო ბ ა - ბ ა ი დ ა რ ე ბ ზ ე			
1	თბილისის, რუსთავის, ბათუმის, ფოთის, სოხუმის და მცხეთის ნაკრები გუნდების რესპუბლიკური შეჯიბრება . . . . .	8—14 აპრილი ფოთი	სასპორტო სკოლების გუნდები
2	რესპუბლიკური პირველობა-სპარტაკიადის პროგრამით . . . . .	ივნისი ფოთი	ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები
3	მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობა . . . . .	20—26 ივლისი მინსკი	განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდი
მ ძ ლ ე ო ' ს ნ ო ბ ა			
1	საშემოდგომო რესპუბლიკური პირველობა . . . . .	ნოემბერი თბილისი	ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდი
2	უძლიერესთა სასწავლო-საწვრთნელი შეჯიბრება	1—10 იანვარი ბათუმი	სიის მიხედვით
3	საგაზაფხულო რესპუბლიკური პირადი პირველობა	24—29 მარტი თბილისი	„
4	სამატჩო შეხვედრა—აზერბაიჯანი-სომხეთი-საქართველო	30—მარტი 1 აპრილი ბაქო	განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდი
5	სამატჩო შეხვედრა—სომხეთი-აზერბაიჯანი-საქართველო . . . . .	1—2 მაისი ერევანი	„
6	სკოლა-ინტერნატების საგაზაფხულო რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება	მაისის ბოლო რიცხვები თბილისი	„
7	რესპუბლიკის პირველობა—სპარტაკიადის პროგრამით . . . . .	ივნისი თბილისი	ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები
8	მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობა	20—26 ივლისი მინსკი	განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდი





1	2	3	4
9	სამატჩო შეხვედრა—საქართველო-აზერბაიჯანი-სომხეთი	ოქტომბერი თბილისი	განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდი
ც უ რ ვ ა			
1	საკავშირო დაუსწრებელ შეჯიბრებაში მონაწილეობა (1-ლი ეტაპი)	1—10 იანვარი ადგილებზე	სპორტული სკოლები
2	რესპუბლიკურ პირველობაზე მონაწილეობა ცურვაში და საერთო ფიზიკურ მომზადებაში	5—9 თებერვალი თბილისი	სპორტული სკოლების უძლიერესი მოცურავეები
3	საკავშირო დაუსწრებელ შეჯიბრებაში მონაწილეობა (მეორე ეტაპი)	15—20 თებერვალი ადგილებზე	სპორტული სკოლები
4	„კომსომოლსკაია პრავდი“-ს შეჯიბრებაში ჯილდოზე მონაწილეობა	მარტი	ნაკრები გუნდები
5	უძლიერეს მოცურავეების საკონტროლო შეჯიბრების ჩატარება	24—30 მარტი თბილისი	სიის მიხედვით
6	რესპუბლიკის პირველობა სპარტაკიადის პროგრამით	ივნისი თბილისი	ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები
7	მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობა	20—26 ივლისი მინსკი	განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდი
8	საკავშირო დაუსწრებელ შეჯიბრებაში მონაწილეობა (მესამე ეტაპი)	15—20 მაისი ადგილებზე	სპორტული სკოლები
წყ ა ლ შ ი ხ ტ ო მ ა			
1	უძლიერეს წყალში მხტომელების შეჯიბრება	6—8 იანვარი თბილისი	„
2	რესპუბლიკურ პირველობაზე მონაწილეობა (1 მეტრიანი ტრამპლინიდან)	24—31 მარტი სოკა	განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდი
3	ნაკრები გუნდის კანდიდატების სასწავლო-საწვრთნელი შეკრება	5—7 თებერვალი თბილისი	ნაკრები გუნდის კანდიდატები
4	„კომსომოლსკაია პრავდი“-ს შეჯიბრებაში ჯილდოზე მონაწილეობა	აპრილი კიევი	განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდი
5	რესპუბლიკური პირველობა სპარტაკიადის პროგრამით	ივნისი თბილისი	ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები

1	2	3	4
6	<p>მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობა . . . . .</p> <p style="text-align: center;">ხ ე ლ ბ უ რ თ ი 7 : 7</p>	20—26 ივლისი მინსკი	განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდი
1	საქალაქთაშორისო შეჯიბრება თბილისი—მოსკოვი . . . . .	ოქტომბერი თბილისი	ნაკრები გუნდი
2	მეორე ჯგუფის ქალაქების და რაიონების შეჯიბრება სპარტაკიადის პროგრამით	27—31 მარტი კიათურა	ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები
3	ოთხ ქალაქს შორის შეჯიბრება თბილისი—ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი	მარტი სოხუმი	ნაკრები გუნდები
4	რესპუბლიკური პირველობა სპარტაკიადის პროგრამით . . . . .	ივნისი თბილისი	ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები
5	<p>მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობა . . . . .</p> <p style="text-align: center;">ფ ა რ ი კ ა ო ბ ა</p>	14—26 ივლისი მინსკი	განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდი
1	ჭაბუკთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობა . . . . .	5—15 იანვარი თბილისი	განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდი
2	რესპუბლიკური პირველობა სპარტაკიადის პროგრამით . . . . .	ივნისი თბილისი	ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები
<b>ს რ ო ლ ა</b>			
1	უძლიერესი მსროლელების სასწავლო-საწვრთნელი შეკრება და პირადი შეჯიბრების ჩატარება . . . . .	1—10 იანვარი თბილისი	სიის მიხედვით
2	ნაკრები გუნდის კანდიდატთა სასწავლო-საწვრთნელი შეკრება და საკონტროლო შეჯიბრების ჩატარება	21—24 მარტი თბილისი	”
3	მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობა . . . . .	20—26 ივლისი მინსკი	განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდი
<b>ჩ ო გ ბ უ რ თ ი</b>			
1	საკავშირო ზონალურ შეჯიბრებაში მონაწილეობა . . . . .	4—8 იანვარი	”



1	2	3	4
2	საკავშირო ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობა . . . . .	23—28 მარტი მოსკოვი	განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდი
3	რესპუბლიკის პირველობა სპარტაკიადის პროგრამით . . . . .	იენისი თბილისი	ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები
4	საკავშირო სპარტაკიადაზე მონაწილეობა . . . . .	20—26 ივლისი მინსკი	განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდი.
<b>მ ა გ ი დ ი ს ჩ ო გ ბ უ რ თ ი</b>			
1	საკავშირო ზონალურ შეჯიბრებაში მონაწილეობა . . . . .	5—7 იანვარი გროზნი	"
2	საკავშირო ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობა . . . . .	23—29 მარტი სოჭა	"
3	მეორე ჯგუფის ქალაქებისა და რაიონების პირად გუნდური შეჯიბრება . . . . .	23—29 მარტი კიათურა	ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები
4	საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობა . . . . .	14—26 ივლისი მინსკი	განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდი
5	რესპუბლიკის პირველობა სპარტაკიადის პროგრამით . . . . .	იენისი თბილისი	ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები
<b>ფ ე ხ ბ უ რ თ ი</b>			
1	ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, სოხუმისა და ბათუმის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრები . . . . .	25 მარტი 1 აპრილი თბილისი	ნაკრები გუნდები
2	ქალაქების და რაიონების მეორე ჯგუფის გუნდების რესპუბლიკური შეჯიბრება . . . . .	4 აპრილი 25 მაისი თბილისი	"
3	ქალაქებისა და რაიონების პირველი ჯგუფის გუნდების რესპუბლიკური შეჯიბრება . . . . .	იენისი თბილისი	"
4	სამატჩო შეხვედრები—საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი . . . . .	აპრილი, მაისი, ბაქო, ერევანი, თბილისი	"
5	მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობა . . . . .	ივლისი მინსკი	"

1	2	3	4
<b>ქ ა დ რ ა კ ი</b>			
1	უძლიერეს მოქალაქეთა პირადი პირველობა . . . . .	1—10 იანვარი თბილისი	ნაკრები გუნდები .
2	მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობა . . . . .	23—31 მარტი თბილისი	" .
3	რესპუბლიკური პირველობა სპარტაკიადის პროგრამით . . . . .	23—31 მარტი თბილისი	" .
<b>შ ა შ ი</b>			
1	პირადი პირველობა . . . . .	23—31 მარტი	ნაკრები გუნდები სიის მიხედვით
2	პირად-გუნდური რესპუბლიკური შეჯიბრება . . . . .	ფენისი თბილისი	

ფიზიკური აღზრდის მეთოდური  
კაბინეტის გამგე გ. შერკვილაძე



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965  
წლის 5 მაისის ბრძანება № 478

ქ. ფოთის, კასპისა და ქარელის რაიონების სკოლებში შრომითი და საწარმოო სწავლების პროცესში უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო ხანიტარიის წესებას დაცვის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ საწარმოო სწავლების ბაზებში შრომითი სწავლებისა და სასკოლათაშორისო სასწავლო საწარმოო სახელოსნოებში, მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის კაბინეტებში საგრძნობლად გაუმჯობესდა შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო ხანიტარიის პირობები.

სახელოსნოები და საწარმოო სწავლების ბაზები ძირითადად მოწყობილია ნათელ და მშრალ შენობებში, ჩარხებს და საზეინკლო დაზგებს აქვთ დამცავი მოწყობილობანი (ბადეები, გარცმები, ეკრანები და სხვ.).

მოწესრიგებულია ელექტროგაყვანილობა, ელექტროძრავებს მოწყობილი აქვთ დამიწება და სახელოსნოებში გაკრულია უსაფრთხოების დაცვის წესებზე სათანადო ტრანსპარანტები (პლაკატები).

საწარმოო და შრომით სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეებს აქვთ სამუშაო იარაღები და პირადი დაცვის საშუალებანი (ხალათები, თავსაკრავები, ბერეტები, სათვალეები, ხელთათმანები და სხვ.).

საწარმოო სწავლების უბნები, შრომითი სწავლების სახელოსნოები ძირითადად დაკომპლექტებულია სპეციალური ჩარხებით, ხის დასამუშავებელი დაზგებით, საზეინკლო გირაგებით და სხვა სამუშაო იარაღებით.

ინსტრუქტორ-მასწავლებლები მოსწავლეებთან ატარებენ საუბრებს და ინსტრუქტაჟს შრომის სწორი ორგანიზაციის საკითხებზე, რის შემდეგაც მოსწავლეებს ნებას რთავენ იმუშაონ ჩარხებთან და ელექტრო-მოწყობილობებთან.

საწარმოო სანიტარიის უკეთ დაყენების მიზნით, საწარმოო სწავლების უბნებში, შრომითი სწავლების სახელოსნოებსა და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში მოწყობილია მოსწავლეთათვის ზედა ტანსაცმლის შესანახი კარადები, ხელსაბანები, შეძენილია პირადი ჰიგიენის საგნები და პირველი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები.

ამ მხრივ გამოირჩევიან კასპის რაიონის კავთისხევის (დირექტორი დ. მაჭავარიანი, დირექტორის მოადგილე საწარმოო სწავლების დარგში შ. გეგუჩაძე, საზეინკლო საქმის მასწავლებელი ე. მეცხვარიშვილი), ქვემო ჭალის (დირექტორი რ. ახვლედიანი, დირექტორის მოადგილე საწარმოო სწავლების დარგში ს. ვაბელაძე, შრომითი სწავლების მასწავლებლები ლ. პავლიაშვილი და შ. ტურძელაძე), ქარელის რაიონის აგარისა და ქარელის 1-ლი საშუალო სკოლები (დირექტორები მ. ზამთარაძე და ა. ვაგლოვეი).

აგარის საშუალო სკოლაში სასწავლო სახელოსნოებისათვის გამოყოფილია ცალკე სათავსოები, რომლებიც აღჭურვილია მოსწავლეთა სამუშაო ადგილებით, საზეინკლო დაზგები ერთმანეთისაგან იზოლირებულია ლითონის დამცავი ბადეებით, ჩარხები დადგმულია გაბარიტული ზომების დაცვით, შეძენილია სადურგლო და საზეინკლო იარაღები, მოწყობილია ელექტროგაყვანილობა, ტანსაცმლის გასახდელი კარადები, ხელსაბანები. კარადა პირველი დახმარების მედიკამენტებისათვის; ჩარხები და სამუშაო იარაღები წესრიგშია, თვალსაჩინო ადგილებზე გაკრულია უსაფრთხო მუშაობის წესები, რომლებსაც გაცნობილი არიან მოსწავლეები.

ქ. ფოთში IX—XI კლასის მოსწავლეები საწარმოო სწავლებას გადიან 4 ქარხანაში, სადაც დაცულია საწარმოო სანიტარიისა და უსაფრთხოების ტექნიკის პირობები.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა შრომის დაცვის უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის დაცვის საქმეში არის ნაკლოვანი მხარეები, ასე, მაგალითად, არაღამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა კასპის რაიონის სასირეთის საშუალო სკოლაში (დირექტორი შ. ბახტაძე, დირექტორის მოადგილე საწარმოო სწავლების დარგში გ. ქემხაძე, სახელოსნოს გამგე ა. უსანათაშვილი), სადაც მოუწყობელია სახელოსნოები და არ სრულდება უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარის წესები, მოსწავლეები მუშაობენ თვითნაკეთ დაზგებზე, რაც საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა სიცოცხლეს.

ქასპის რაიონის სოფ. მეტეხის სასწავლო სახელოსნოში (დირექტორი ი. დავითაშვილი, სახელოსნოს გამგე მ. გეჯაძე) არის საშუალება ნორმალური მუშაობისათვის, მაგრამ უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის მინიმალური პირობები არაა დაცული; არ არის სამუშაო დაზღვევზე ლითონის დამცავი ბადეები, არ გააჩნიათ სახარატო და საბურღი ჩარხებს დამცავი გარცმები, მოწყობილობანი და, რაც მთავარია, მოსწავლეები არ იცნობენ უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესებს. ასეთივე მდგომარეობაა ქასპის რაიონის იგოეთის საშუალო სკოლაში (დირექტორი ი. საჩალელი).

ძალზე ცუდი მდგომარეობაა ქარელის რაიონის ზემოხვედურეთის საშუალო, ბრედისა და ქვენატკოცის რვაწლიან სკოლებში (დირექტორები ვ. სულაქველიძე, ა. მეყანწიშვილი და ნ. ლონაძე), სადაც სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები მოთავსებულია ცალკე სათავსოებში, მაგრამ აღნიშნული ოთახები ხშირ შემთხვევაში გამოყენებულია სასოფლო ინვენტარისა და მასალების შესანახად. მაგალითად, ბრედის რვაწლიანი სკოლის სახელოსნოში (გამგე ბ. პარკაძე) ინახება სკოლის ეზოს შემოსაღობი ფიცრები და სხვა ინვენტარი. საზეინკლო დაზგები და გირაგები დაფარულია აღნიშნული მასალებით, ხოლო სადურგლო დაზგები მოთავსებულია ერთ კუთხეში და მუშაობის დროს გამოუყენებელია. ყოველივე ამის შემდეგ მოსწავლეები ხერხვასა და რანდვას დაზგებზე კი არ აწარმოებენ, არამედ იატაკზე დადგმულ ფიცრის ნაჭრებზე. ერთი მოსწავლე რომ მუშაობს 2—3 მას ეხმარება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დაზიანება.


სახელოსნოში ანტისანიტარული მდგომარეობაა გამეფებული, საშუალება არ არის ტანისამოსის გახდისა და ტრავმის შემთხვევაში არ შეიძლება პირველადი დახმარების აღმოჩენა. ხელსაწყო-იარაღები არასამუშაო მდგომარეობაშია, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მოსწავლეების ტრავმატული დაზიანება.

ქ. ფოთის მე-5 საშუალო სკოლაში, ფართობის უქონლობის გამო, სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები მოთავსებულია ერთ ოთახში.

ქ. ფოთის მე-9 საშუალო სკოლასა და სკოლა-ინტერნატში შრომითი სწავლების სახელოსნოების უქონლობის გამო სწავლება დაბალ დონეზე დგას. ამ სკოლის მოსწავლეები შრომით სწავლებას გადაიან მეზობელი სკოლების სახელოსნოებში, რაც იწვევს დღის რეჟიმის დარღვევას და ზოგჯერ გაკვეთილების გაცდენასაც კი.







**საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო უსრომითი  
